2662
96 62
F
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

24 მარტი, 1940 წ.
საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო
№ 9 (132) ფასი 30 კაპ.

მოსკოვი, კრემლი

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIII ყრილობა მგზნებარე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, პარტიის დიდ ბელადს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა მასწავლებელსა და მეგობარს!

სსრ კავშირის მშრომელნი, თქვენი გენიით აღფრთოვანებულნი, ანხორციელებენ რა კაცობრიობის საუკეთესო, მოწინავე ადამიანთა საუკუნებრივ ოცნებას, აგებენ კომუნიზმის დიად შენობას.

თქვენი სახელი არის მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშძლე ძალის სიმბოლო, შემოქმედებითი აზროვნების დაუშრეტელი წყარო, კომუნიზმის ახალ, მომავალ, კიდევ უფრო დიად გამარჯვებათა სიმბოლო.

ერთი წლის წინათ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ტრიბუნიდან მთელი მსოფლიოს გასაგონად გაისმა თქვენი ისტორიული მოხსენება, რომელიც მთელი ჩვენი ბრძოლისა და მუშაობის კანონსა და საფუძველს წარმოადგენს.

ამ ერთი წლის განმავლობაში საქართველოს ბოლშევიკებმა, ისე როგორც მთელმა ჩვენმა დიადმა პარტიამ, ანხორციელებდნენ რა თქვენს ისტორიულ მითითებებს და საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, კიდევ უფრო განამტკიცეს თავიანთი რიგები: პარტიაში შემოვიდნენ საუკეთესო, **ლენინ-სტალინის** საქმის ერთგული მოწინავე ადამიანები მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის წრიდან; საქართველოს პარტიული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან კადრების აღსაზრდელად და დასაწინაურებლად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში, დღითი-დღე ამაღლებენ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ხარისხს.

ბოლშევიზმის დაუფლების, რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერების, საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ღრმად შესწავლის შესახებ თქვენს მიერ მოცემულ ისტორიულ მითითებათა განხორციელებამ ახალ სიმაღლეზე აიყვანა თვითეული პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობა სოციალისტური მშენებლობის ახალი წარმატებებისათვის, მტრის ნაძირალთა ოინების მხილებისათვის ბრძოლაში.

ახსოვთ რა თქვენი ბრძნული სიტყვები კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ, საქართველოს ბოლშევიკები იბრძვიან მასობრივ-თავდაცვითი მუშაობის ყოველნაირად გაუმჯობესებისათვის, უნერგავენ რა ხალხს, ლენინურ-სტალინური ინტერნაციონალიზმის დროშით, საბჭოთა პატრიოტიზმის წმინდა გრძნობას.

მთელს დიად საბჭოთა ქვეყანაში ახალი, უდიდესი პატრიოტული აღფრთოვანება გამოიწვიეს სტალინური საგარეო პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვებებმა.

ჩვენმა გმირმა წითელმა არმიამ პანების უღლისაგან იხსნა დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მილიონობით მშრომელნი, რომელნიც სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახს შეუერთდნენ.

წითელი არმიის სახელოვანმა მებრძოლებმა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეზღვაურებმა მოსპეს ომის გამჩაღებელთა უმნიშვნელოვანესი ბაზა სსრ კავშირის ჩრდილოეთ-დასავლეთ საზღვრებზე და უზრუნველჰყვეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის აკვნის — ლენინის ქალაქის უშიშროება.

სსრ კავშირის მიერ ფინეთთან დადებული საზავო ხელშეკრულება გენიალური სტალინური სამშვიდობო პოლიტიკის ახალი გამარჯვებაა, რომელიც ომის ინგლისელ და ფრანგ გამჩაღებელთა კიდევ ერთ სასტიკ დამარცხებასა ნიშნავს.

ჩვენ ვალდებულებას ვკისრულობთ თვითეულმა თავის პოსტზე ენერგიული მუშაობით შემდეგშიც განვამტკიცოთ სოციალისტური სამშობლოს ძლიერება, თვითკრიტიკის საფუძველზე აღმოვფხვრათ მუშაობის ნაკლოვანებანი, გავამრავლოთ მუშათა, კოლმეურნეთა და ჩვენი საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა მოწინავე გამოცდილება.

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, ამ ბრძოლაში ჩვენ გვაფრთოვანებს ის სახელოვანი სტალინური ტრადიციები, რომლებსაც თქვენ ორმოც წელზე მეტი ხნის წინათ საფუძველი ჩაუყარეთ საქართველოსა და კავკასიაში.

სძლევდით რა განსაცდელსა და გაჭირვებას, თქვენ არალეგალობის მძიმე პირობებში თავდადებით ჰკრებდით **ლენინის** დროშის ქვეშ პროლეტარული რევოლუციის ძალებს და მიუძღოდით მათ ცარიზმის სიმაგრეებზე იერიშის მისატანად, **ლენინთან** ხელიხელჩაკიდებული საფუძველს უქმნიდით ბოლშევიკების დიად პარტიას.

მეფის რეაქციის შავბნელ დროში თქვენ აიარაღებდით მასებს დიადი რწმენით პროლეტარული რევოლუციის გარდუვალი გამარჯვებისადმი, მიუძღოდით მათ წინ, სტალინური წინასწარ გაჭვრეტის გენიით გზას უნათებდით კომუნიზმის ისტორიული გამარჯვებებისაკენ.

დღეს ჩვენ, დიდი **სტალინის** ეპოქის ბედნიერი თანამედროვენი, მოწამენი ვართ ამ უდიდესი მონაპოვრებისა, რომლებიც მიღწეულია თქვენი ხელმძღვანელობით.

ბრძნული სტალინური ხელმძღვანელობით ჩვენ მივაღწევთ კომუნიზმის გამარჯვებას მთელს მსოფლიოში!

გაუმარჯოს ბოლშევიკების პარტიას და მის საკ. კ. პ. (ბ) სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს პროლეტარული რევოლუციის დიდ გენიოსს, მთელი მშრომელი კაცობრიობის იმედს, ბედნიერებასა და სიამაყეს, ჩვენს მშობლიურ, საყვარელ **იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს!**

საინფორმაციო ცნობა

1940 წლის 19 მარტს შესდგა პირველი პლენუმი საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც არჩეულია საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობის მიერ.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად ერთხმად არჩეულ იქნა ამხანაგი **კ. ნ. ჩარკვიანი.**

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. **კ. ნ. შეროზია.**

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მესამე მდივნად ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. **მ. ი. ჯაში.**

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად კადრების დარგში ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. **ა. ე. თოფურიძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად პროპაგანდის დარგში ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. **ი. ყ. თავაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებად პლენუმმა აირჩია ამხანაგები: **ვ. მ. ბაქრაძე, მ. ი. ჯაში, ს. მ. იუხანოვი, ი. დ. კოჩლამაზაშვილი, ფ. ე. მახარაძე, ა. ნ. რაფავა, გ. თ. სტურუა, ი. ყ. თავაძე, ა. ე. თოფურიძე, კ. ნ. ჩარკვიანი, კ. ნ. შეროზია.**

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატებად არჩეულ იქნენ ამხანაგები: **ვ. გ. გრიგორიანი, ა. ი. მირცხულავა, ს. გ. ხოშტარია.**

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორად პლენუმმა დაამტკიცა ამხ. **ვ. გ. გრიგორიანი** და გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორად—ამხ. **ვ. ა. ხატიაშვილი.**

მოსკოვი

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვს

ძვირფასო ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ!

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIII ყრილობა მხურვალე სალამს გითვლით თქვენ — **ლენინისა და სტალინის** ერთგულ თანამებრძოლს, ბოლშევიკური პარტიის უდიდეს მოღვაწეს!

საქართველოს ბოლშევიკები, შეიკრიბნენ რა თავის მორიგ ყრილობაზე, თვითკრიტიკის ნიშნით ამოწმებენ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა და ამხანაგ **სტალინის** მითითებათა შესრულებას, სახავენ კონკრეტულ გზებს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და სოციალისტური მშენებლობის ახალ წარმატებათა მისაღწევად.

ახამებენ რა თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში პოლიტიკას და მეურნეობას, საქართველოს პარტიული ორგანიზაციები იბრძვიან მათს წინაშე დასახულ სამეურნეო ამოცანათა წარმატებით გადაჭრისათვის, ამაღლებენ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ხარისხს, უღვივებენ მასებს მტრის ნაბოლარათა ოინებისადმი რევოლუციური სიფხიზლის გრძნობას.

ძვირფასო ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ! ჩვენ კარგად გვახსოვს თქვენი სიტყვები იმის შესახებ, რომ საჭიროა ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, რომ ყოველი ჩვენგანი თავის პოსტზე თავისი დაძაბული მუშაობით უნდა ეხმარებოდეს ჩვენს სახელოვან წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს.

დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ხალხთა განთავისუფლება პანების უღლისაგან. ბრწყინვალე ლიკვიდაცია საერთაშორისო იმპერიალიზმის ფინეთის პლაცდარმისა ჩვენი ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებზე, ლენინგრადის უშიშროების უზრუნველყოფა დაკავშირებულია თქვენს, როგორც სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოღვაწეობასთან.

თქვენ განუხრელად და მტკიცედ ახორციელებთ სტალინურ საგარეო პოლიტიკას, რომელიც უზრუნველჰყოფს მშვიდობიანობას და არავის საშუალებას არ აძლევს საბჭოების ქვეყანა ჩააბას იმპერიალისტურ ომში.

მთელი ქართველი ხალხი მხურვალე მოწონების გრძნობით შეეგება ცნობას სსრ კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ.

ჩვენმა გმირმა წითელმა არმიამ და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა მოკლე ხნის განმავლობაში შემუსრეს სამხედრო სიმაგრეები, რომლებიც მიუვალად ითვლებოდნენ, და მიაღწიეს იმ მოთხოვნების შესრულებას, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა ლენინგრადის უშიშროების უზრუნველყოფისა და სოციალიზმის ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებზე ომის კერის ლიკვიდაციის მიზნით.

კიდევ ერთი სასტიკი დამარცხება განიცადეს ომის გამჩაღებლებმა, კიდევ ერთი დიადი გამარჯვება მოიპოვა მშვიდობიანობის სტალინურმა პოლიტიკამ, რომელსაც თქვენ განუხრელად ახორციელებთ.

გვახსოვს რა სტალინის მითითებანი კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ, ჩვენ ფხიზლად დავიცავთ ჩვენს სამშობლოს მტრის ხელყოფისაგან, განვამტკიცებთ სსრ კავშირის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა სამშობლოს ძლიერებას.

ძვირფასო ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ! ამ ცოტა ხნის წინათ მთელმა ჩვენმა დიადმა ქვეყანამ, სსრ კავშირის ყველა ხალხმა, რომელნიც მჭიდროდ დარაზმულნი არიან სტალინური მეგობრობით, მხურვალე სიყვარულის გრძნობით აღნიშნეს თქვენი დაბადების სახელოვანი ორმოცდაათი წლისთავი.

35 წლის რევოლუციური ბრძოლა **ლენინ-სტალინის** პარტიის დროშის ქვეშ, ათი წლის მუშაობა მუშათა და გლეხთა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მთავრობის მეთაურის პოსტზე — ასეთია სახელოვანი გზა, რომელიც თქვენ განვლეთ და რომელიც ყველა ეტაპზე აღნიშნულია შეურიგებელი ბრძოლით პარტიისა და ხალხის მტრების წინააღმდეგ, პარტიის გენერალური ხაზის თანმიმდევრობით განხორციელებისათვის.

საქართველოს ბოლშევიკების XIII ყრილობა გისურვებთ თქვენ კიდევ მრავალსა და მრავალ წელს სიცოცხლეს და ბრძოლას მთელი მსოფლიოს მშრომელთა კეთილდღეობისათვის.

მთელი ქართველი ხალხი, რომელიც ყოველდღე გრძნობს თქვენს მზრუნველობას, დახმარებასა და ყურადღებას, მხურვალე პატივისცემის, მადლობისა და მადლიერების სიტყვებით მოგმართავთ თქვენ.

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) და მის სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ **სტალინს!**

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ საბჭოთა მთავრობას და მის მეთაურს, დიდი **სტალინის** ერთგულ თანამებრძოლს, სტალინური ეპოქის უდიდეს პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეს — **ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს!**

მოსკოვი

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ამხანაგ ლ. პ. ბერიას

ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ!

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIII ყრილობა მხურვალე, ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, დიდი **სტალინის** ერთგულ თანამოსაგრეს, საბჭოთა დაზვერვის მებრძოლ ხელმძღვანელს!

საქართველოს ბოლშევიკებმა, რომლებიც თქვენ მიერ სახელოვანი სტალინური ტრადიციებით არიან აღზრდილნი, თქვენი ხელმძღვანელობით უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში.

ეს წარმატებები შედეგია იმ შეუპოვარი, ოპერატიული და კონკრეტული ბრძოლისა, რომლის სულისკვეთებითაც თქვენ მთელი რიგი წლების განმავლობაში პირადი მაგალითით ზრდიდით და აწრთობდით საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს, დაუღალავად რაზმავდით რა მათ საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ც. კ-ისა და დიდი **სტალინის** ნებასურვილის განუხრელად შესრულებისათვის.

თქვენი ხელმძღვანელობით საქართველოს ბოლშევიკებმა ულმობლად გაანადგურეს ხალხის მტერთა ძირითადი ბუდეები, თავიანთი რიგები გასწმინდეს გამცემთა და მოღალატეთაგან და, გაამახვილეს რა თავიანთი რევოლუციური სიფხიზლე, მთელი შეურიგებლობით, როგორც თქვენ ამას გვასწავლით, ამხილებენ მტერთა ნაბოლარების ოინებს.

საქართველოს პარტორგანიზაციები გაიზარდნენ მათს რიგებში მუშათა, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის წრიდან გამოსული მოწინავეების მიღებით; პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც მოწინავე ადამიანთა გაბედულად დაწინაურების საქმეში თქვენი მუშაობის მაგალითებს ჰბაძავენ, პარტიული აქტივისა და არაპარტიული ბოლშევიკების საუკეთესო წარმომადგენლები დააწინაურეს ხელმძღვანელებად სამეურნეო-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში.

თითქმის ხუთი წელი გავიდა იმ დღიდან, როცა თქვენ თბილისის პარტიული აქტივის კრებაზე გამოხვედით მოხსენებით „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, რომელშიც თქვენ პირველმა მიეცით მთელს პარტიას უმდიდრესი ისტორიული მასალა საქართველოს და კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების შესახებ, რომლებსაც საფუძვლები ამხანაგმა **სტალინმა** ჩაუყარა.

თქვენმა მოხსენებამ უდიდეს სიმაღლეზე აიყვანა იდეურ-პოლიტიკური აღზრდა პარტიული ორგანიზაციების რიგებში და აამაღლა მასების რევოლუციური სიფხიზლე **ლენინ-სტალინის** საქმისათვის ბრძოლაში.

ვსწავლობთ რა სტალინურ სახელმძღვანელოს— „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“ — **მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის** დიადი იდეების ამ საუნჯეს, რომელიც წარმოადგენს გენიალურ სტალინურ განძს მეცნიერული კომუნიზმის თეორიაში, ჩვენ ვეუფლებით ბოლშევიზმს და კიდევ უფრო ვიწრთობით კომუნიზმის ახალ გამარჯვებათათვის ბრძოლაში.

ითვალისწინებენ რა საერთაშორისო ვითარების დაძაბულობას, საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, რომელთაც მუდამ ახსოვთ ამხანაგ **სტალინის** მითითებანი კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ, მუშაობენ მასობრივ-თავდაცვითი მუშაობის გასაძლიერებლად, ეხმარებიან რა თავიანთი საწარმოო წარმატებებით გმირულ წითელ არმიას და სახელოვან სამხედრო-საზღვაო ფლოტს, რომლებმაც ბრწყინვალედ შეასრულეს მათს წინაშე დასახული ამოცანები დასავლეთ უკრაინაში, დასავლეთ ბელორუსიასა და ფინეთში.

საქართველოს ბოლშევიკები იბრძვიან სოციალისტური მშენებლობის ახალ წარმატებათათვის და აღწევენ მათ კონკრეტული სტილის საფუძველზე თავიანთს მუშაობაში, იყენებენ რა მუშაობის სტალინური სკოლის უძვირფასეს გამოცდილებას, დაგროვებულს თქვენი ხელმძღვანელობით.

ჩვენ ვცდილობთ მთელს ჩვენს საქმიანობაში მივბაძოთ ბრწყინვალე მაგალითებს, ხელმძღვანელობისა და ოპერატიული მუშაობისა, რომლის მიხედვით თქვენ მთელი რიგი წლების განმავლობაში ზრდიდით საქართველოს კომპარტიას ბოლშევიკებისას, რომლისთვისაც თქვენს ყოველ მითითებას, თქვენს ყოველ რჩევას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

გაუმარჯოს ბოლშევიკების პარტიას და მის დიდ ბელადსა და მასწავლებელს, მშობლიურ საყვარელ **სტალინს!**

გაუმარჯოს სახელოვან საბჭოთა დაზვერვას!

გაუმარჯოს ჩვენს **ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას**— სტალინური ნებისყოფის ადამიანს, საბჭოთა დაზვერვის სახელოვან ხელმძღვანელს, **ლენინ-სტალინის** პარტიის ერთგულ შვილს, რომელიც თავისი სიცოცხლის ყოველ დღესა და საათს ახმარს მშრომელთა ბედნიერებისათვის, კომუნიზმისათვის ბრძოლას!

საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობა

15 მარტს საღამოს რუსთაველის სახელობის თეატრის შენობაში გაიხსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIII ყრილობა.

ყრილობა გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა კ. ნ. ჩარკვიანმა.

პრეზიდიუმის შემადგენლობაში ყრილობამ აირჩია შემდეგი ამხანაგები: **კ. ნ. ჩარკვიანი, ვ. მ. ბაქრაძე, კ. ნ. შეროზია, ს. მ. იუხანოვი, ი. ვ. ტიულენევი, მ. ი. ბარამია, მ. ი. ჯაში, ა. ე. თოფურიძე, ი. ყ. თავაძე, ი. დ. კოჩლამაზაშვილი, ა. ნ. რაფავა, გ. გ. თვალჭრელიძე, ფ. ე. მახარაძე, გ. დ. ჩაჩიბაია, პ. ვ. მჭედლიძე, გ. ე. ნარსია, ვ. გ. ცხოვრებაშვილი, ც. ა. ქარდავა, კ. გ. ბეჭვაია, ბ. ი. ყურაშვილი, ვ. გ. გრიგორიანი, შ. დ. ნუცუბიძე, ა. ი. მირცხულავა, მ. მ. კვარაცხელია, ი. ა. დორონინი, გ. თ. სტურუა, მ. თ. გეწაძე, დ. ა. ჭიჭინაძე, ვ. ა. ლოლაძე.**

სამანდატო კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ ამხანაგები: **რ. ა. კვირკველია, გ. ზ. ქარჩავა, მ. დ. ჩუბინიძე, კ. ი. ბარიგიანი, ნ. ი. ჩარკვიანი, ვ. მ. ძიძიგური, ფ. ა. დუბოვსკოი, ა. ტ. სირუნიანი, კ. გ. ჭიჭინაძე.**

სამდივნოს შემადგენლობაში არჩეულ იქნენ ამხანაგები: **ე. ი. ჩერქეზია, ხ. მ. ბეჟანოვი, ნ. ს. ბაიდაშვილი, ზ. ნ. ჩხუბიანაშვილი, გ. ა. გოჩაშვილი, გ. ი. კიკნაძე, ი. ხ. ფუტკარაძე.**

ყრილობის სარედაქციო კომისიაში არჩეულ იქნენ ამხანაგები: **ვ. ა. ხატიაშვილი, ა. თ. კვაჭაძე, ნ. პ. სარქისოვი, გ. ქ. კირიაკოვი, მ. ქ. დელბა, ვ. ი. ხუბაევი, ვ. ი. ეგნატაშვილი.**

ყრილობა ხანგრძლივი ტაშით იღებს წინადადებას საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შესახებ.

უდიდესი ძლიერებით იგრიალებს ოვაცია, როცა საპატიო პრეზიდიუმის შემადგენლობაში პირველს ასახელებენ მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს.**

დარბაზის ყველა კუთხეში გაისმის აღტაცებული მისალმების შეძახილები ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მშობლიური **სტალინის** პატივსაცემად.

ყრილობა უდიდესი აღფრთოვანებით, მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით საპატიო პრეზიდიუმში ირჩევს ამხანაგებს **ვ. მ. მოლოტოვს, კ. ე. ვოროშილოვს, ლ. მ. კაგანოვიჩს, მ. ი. კალინინს, ა. ა. ანდრეევს, ა. ა. ჟდანოვს, ა. ი. მიქოიანს, ნ. ს. ხრუშჩოვს, ლ. პ. ბერიას** და **ნ. მ. შვერნიკს.**

ყრილობის დელეგატები დიდი გულთბილობით მიესალმებიან საპატიო პრეზიდიუმში საბჭოთა დაზვერვის ხელმძღვანელის, დიდი **სტალინის** ერთგული მოწაფისა და თანამებრძოლის ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** არჩევას, რომელიც მთელი რიგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს და რომელმაც ისინი სტალინური ტრადიციების სულისკვეთებით აღზარდა. დარბაზში გაისმის მისალმების შეძახილები

მთელი დარბაზი, ერთი გრძნობით შეპყრობილი, ფეხზე დგება და მქუხარე ტაშს უკრავს, როცა შემოაქვთ წინადადება, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIII ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ არჩეული იქნას დიდი **სტალინი.** კვლავ იფეთქებს ოვაცია და გაისმის მისალმების შეძახილები ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად. დელეგატები, ფეხზე ამდგარნი, დიდხანს უკრავენ ტაშს.

დღის წესრიგისა და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ, ყრილობა უდიდესი აღფრთოვანებით იღებს მისალმებას **იოსებ ბესარიონის ძე სტალინისადმი.** ტექსტის კითხვა არაერთხელ იქნა შეწყვეტილი ტაშითა და მისალმების შეძახილებით ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად.

ამით მთავრდება ყრილობის პირველი სხდომა.

საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ

7-12 მარტის განმავლობაში მოსკოვში მიმდინარეობდა მოლაპარაკება — სსრ კავშირსა და ფინეთს შორის საომარი მოქმედების შეწყვეტისა და საზავო ხელშეკრულების დადების საკითხზე. მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდნენ, ერთი მხრივ, სსრ კავშირის რწმუნებულნი — სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ვ. მ. მოლოტოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. ა. ა. ჟდანოვი და ბრიგადის მეთაური ამხ. ა. მ. ვასილევსკი, ხოლო, მეორე მხრივ, ფინეთის რესპუბლიკის რწმუნებულნი — ფინეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნ რ. რიუტი, მინისტრი ი. კ. პაასიკივი, გენერალი კ. რ. ვალდენი და პროფესორი ვ. ვოიონმაა.

მოლაპარაკება დამთავრდა იმით, რომ 1940 წლის 12 მარტს საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის ხელმოწერილი იქნა საზავო ხელშეკრულება.

საზავო ხელშეკრულებისა და მასთან დართული ოქმის ტექსტები მოყვანილია ქვემოთ.

საზავო ხელშეკრულება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, ერთი მხრივ, და ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, მეორე მხრივ,

ხელმძღვანელობენ რა სურვილით —შესწყვიტონ ორივე ქვეყანას შორის ამტყდარი საომარი მოქმედება და შექმნან ერთმანეთს შორის მტკიცე სამშვიდობო ურთიერთობა,

დარწმუნებული არიან რა, რომ ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის ინტერესებს შეესაბამება ურთიერთი უშიშროების უზრუნველყოფის, მათ შორის ქალაქ ლენინგრადისა და ქალაქ მურმანსკის, აგრეთვე მურმანსკის რკინიგზის უშიშროების უზრუნველყოფის ზუსტ პირობათა განსაზღვრა,

საჭიროდ სცნეს ამ მიზნით დასდონ საზავო ხელშეკრულება და თავიანთ რწმუნებულებად დანიშნეს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა:

ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი,

ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი,

ალექსანდრე მიხეილის-ძე ვასილევსკი, ბრიგადის მეთაური.

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა:

რისტო რიუტი, ფინეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე,

იუხო კუსტი პაასიკივი, მინისტრი,

კარლ რუდოლფ ვალდენი, გენერალი,

ვიაინე ვოიონმაა, პროფესორი.

აღნიშნული რწმუნებულნი, თავიანთ რწმუნებათა ურთიერთ წარდგენის შემდეგ, რომლებიც სათანადო ფორმით და სრული წესით შედგენილად იქნენ ცნობილი, შეთანხმდნენ შემდეგში:

მუხლი I.

საომარი მოქმედება სსრ კავშირსა და ფინეთს შორის დაუყოვნებლივ სწყდება ამ ხელშეკრულებასთან დართული ოქმით გათვალისწინებული წესით.

მუხლი II.

სახელმწიფო საზღვარი სსრ კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის მყარდება ახალი ხაზით, რომლითაც სსრ კავშირის ტერიტორიის შემადგენლობაში შედის მთელი კარელიის ყელი ქ. ვიბორგით (ვიპური) და ვიბორგის ყურით კუნძულებითურთ, ლადოგის ტბის დასავლეთი და ჩრდილოეთი სანაპირო ქალაქ კექსჰოლმით, სორტავალათი და სუოიარვითურთ, ფინეთის ყურის მთელი რიგი კუნძულები, მერკიარვის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია ქ. კუოლაიარვითურთ, რიბაჩისა და სრედნის ნახევარკუნძულთა ნაწილი — ამ ხელშეკრულებასთან დართული რუკის თანახმად.

საზღვრის ხაზის უფრო დაწვრილებითი აღწერა დადგენილი იქნება ხელშეკრულების დამდები მხარეების წარმომადგენელთაგან შემდგარი შერეული კომისიის მიერ, რომელიც უნდა შეიქმნას ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან ათი დღის ვადაში.

მუხლი III.

ხელშეკრულების დამდები თვითეული მხარე ვალდებულებას კისრულობს თავი შეიკავოს მეორე მხარეზე ყოველგვარი თავდასხმისაგან და არ დასდოს არავითარი კავშირი და არ მიიღოს მონაწილეობა ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის წინააღმდეგ მიმართულ კოალიციებში.

მუხლი IV.

ფინეთის რესპუბლიკა თანხმობას აცხადებს საბჭოთა კავშირს 30 წლის ვადით იჯარით მისცეს, საბჭოთა კავშირის მიერ ყოველწლიურად 8 მილიონი ფინური მარკის გადახდის პირობით, ხანკოს ნახევარკუნძული და მის გარშემო მდებარე საზღვაო ტერიტორია, ამ კუნძულის სამხრეთით და აღმოსავლეთით 5 მილის რადიუსზე და დასავლეთითა და ჩრდილოეთით 3 მილის რადიუსზე, და მთელი რიგი კუნძულები, რომლებიც მას ესაზღვრებიან, დართული რუკის შესაბამისად, — იქ სამხედრო-საზღვაო ბაზის შესაქმნელად, რომელიც შესძლებს დაიცვას აგრესიისაგან ფინეთის ყურის შესასვლელი, ამასთან საზღვაო ბაზის დაცვის მიზნით საბჭოთა კავშირს უფლება ენიჭება საჭირო რაოდენობით იყოლიოს იქ თავის ხარჯზე სახმელეთო და საჰაერო შეიარაღებული ძალები.

ფინეთის მთავრობას ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტიდან ათი დღის განმავლობაში გაჰყავს ხანკოს ნახევარკუნძულიდან მთელი თავისი ჯარი, და ხანკოს ნახევარკუნძული მისი მოსაზღვრე კუნძულებითურთ გადადის სსრ კავშირის გამგებლობაში, ხელშეკრულების ამ მუხლის შესაბამისად.

მუხლი V.

სსრ კავშირი ვალდებულებას კისრულობს გაიყვანოს თავისი ჯარი პეტსამოს ოლქიდან, რომელიც საბჭოთა სახელმწიფომ ნებაყოფლობით დაუთმო ფინეთს, 1920 წლის საზავო ხელშეკრულების თანახმად.

ფინეთი კისრულობს, როგორც ეს 1920 წლის საზავო ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, არ იყოლიოს ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის თავისი სანაპიროს წყლებში სამხედრო და სხვა შეიარაღებული გემები, გარდა 100 ტონაზე ნაკლები წყალწყვის შეიარაღებული გემებისა, რომლებიც ფინეთს უფლება აქვს იყოლიოს განუსაზღვრელი რაოდენობით, აგრეთვე იყოლიოს არაუმეტეს 15 სამხედრო და სხვა შეიარაღებული გემისა, რომელთა ტონაჟიც თვითეულისათვის არ უნდა აღემატებოდეს 400 ტონას.

ფინეთი კისრულობს, როგორც ეს იმავე ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, არ იყოლიოს აღნიშნულ წყლებში წყალქვეშა ნავები და შეიარაღებული საჰაერო გემები.

ფინეთი აგრეთვე კისრულობს, როგორც ეს იმავე ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, არ მოაწყოს ამ სანაპიროზე სამხედრო ნავსადგურები, სამხედრო ფლოტის ბაზები და სამხედრო სარემონტო სახელოსნოები იმაზე მეტი მოცულობისა, რაც საჭიროა აღნიშნული გემებისა და მათი შეიარაღებისათვის.

მუხლი VI.

საბჭოთა კავშირს და მის მოქალაქეებს, როგორც ეს 1920 წლის ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, ენიჭებათ უფლება თავისუფალი ტრანზიტისა პეტსამოს ოლქზე გავლით ნორვეგიაში და უკან დაბრუნებით, ამასთან საბჭოთა კავშირს უფლება ენიჭება დააარსოს პეტსამოს ოლქში საკონსულო.

ის ტვირთი, რომელიც პეტსამოს ოლქზე გავლით სსრ კავშირიდან ნორვეგიაში გააქვთ, აგრეთვე ის ტვირთი, რომელიც იმავე ოლქზე გავლით ნორვეგიიდან სსრ კავშირში შეაქვთ, თავისუფლდება გასინჯვისა და კონტროლისაგან, გარდა მხოლოდ ისეთი კონტროლისა, რაც საჭიროა სატრანზიტო მიმოსვლის მოწესრიგების მიზნით, აგრეთვე არ დაიბეგრება საბაჟო გადასახადებით, სატრანზიტო და სხვა გამოსაღებებით.

სატრანზიტო ტვირთის ზემოთაღნიშნული კონტროლი დაიშვება მხოლოდ ისეთი ფორმით, რომელსაც ასეთ შემთხვევებში იცავენ საერთაშორისო მიმოსვლის არსებულ ჩვეულებათა მიხედვით.

სსრ კავშირის მოქალაქეებს, რომლებიც პეტსამოს ოლქზე გავლით მიემგზავრებიან ნორვეგიაში და უკან — ნორვეგიიდან სსრ კავშირში, უფლება აქვთ თავისუფალი სატრანზიტო მგზავრობისა იმ პასპორტების საფუძველზე, რომლებსაც სათანადო საბჭოთა ორგანოები გასცემენ.

მომქმედ საერთო დებულებათა დაცვით საბჭოთა შეუიარაღებელ საფრენოსნო აპარატებს უფლება აქვთ საჰაერო მიმოსვლისა პეტსამოს ოლქზე გავლით სსრ კავშირსა და ნორვეგიას შორის.

მუხლი VII.

ფინეთის მთავრობა საბჭოთა კავშირს ანიჭებს სსრ კავშირსა და შვეციას შორის საქონლის ტრანზიტის უფლებას, და იმ მიზნით, რომ ეს ტრანზიტი განვითარდეს უმოკლესი სარკინიგზო გზით, სსრ კავშირი და ფინეთი საჭიროდ სცნობენ ააშენონ, თვითეულმა მხარემ თავის ტერიტორიაზე, შეძლებისდაგვარად 1940 წლის განმავლობაში, რკინიგზა, რომელიც ქ. კანდალაკშას ქ. კემიარვისთან შეაერთებს.

მუხლი VIII.

ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ განახლდება ეკონომიური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის და ამ მიზნით ხელშეკრულების დამდები მხარეები დაიწყებენ მოლაპარაკებას სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად.

მუხლი IX.

ეს საზავო ხელშეკრულება ძალაში შედის დაუყოვნებლივ, მისი ხელმოწერისთანავე, და შემდგომ რატიფიცირებულ უნდა იქნას.

სარატიფიკაციო აქტების გაცვლა-გამოცვლა მოხდება ათი დღის განმავლობაში, ქ. მოსკოვში.

ეს ხელშეკრულება შედგენილია ორ ორიგინალად, რუსულ, ფინურ და შვედურ ენაზე თვითეული, ქ. მოსკოვში, 1940 წლის 12 მარტს.

ვ. მოლოტოვი.
ა. ჟდანოვი.
ა. ვასილევსკი.

რისტო რიუტი.
ი. პაასიკივი.
რ. ვალდენი.
ვიაინე ვოიონმაა.

ეპოქის გმირი ქართულ საბჭოთა მწერლობაში

ბესო ჟღენტი.

„მიუხედავად მნიშვნელოვანი წარმატებებისა ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში, ჩვენ გმირულ საბჭოთა სინამდვილეს ჯერ კიდევ არ უპოვნია მასში ღირსეული მხატვრული სრულფასოვანი ასახვა“, — ასეთი დასკვნით დაამთავრა ქართველი ხალხის სახელოვანმა შვილმა ამხანაგმა **ლავრენტი ბერიამ** საქართველოს ბოლშევიკების მე-10 ყრილობაზე გაკეთებულ საანგარიშო მოხსენებაში მოცემული უაღრესად სწორი და ამომწურავი ანალიზი ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარებისა. ამ სიტყვებში მკაფიოდ გამოიხატა ჩვენი ლიტერატურის შემდგომი განვითარების განმსაზღვრელი საბრძოლო პროგრამა და ამოცანა.

ეს იყო სამი წლის წინად. მას შემდეგ ქართულ ლიტერატურაში ისევე, როგორც ჩვენი სამშობლოს მთელს პოლიტიკურ - სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში, ბევრი რამ ახალი შეიქმნა. ამ ხნის განმავლობაში შეიქმნა არა ერთი პოეტური, ბელეტრისტული, თუ დრამატურგიული ჟანრის ნაწარმოებები, რომლებიც უდაოდ მოწმობენ ჩვენი ლიტერატურის განუხრელ იდეურ-შემოქმედებითს ამაღლებას, მასში კომუნიზმის იდეების მეტი ორგანიულობით დამკვიდრებას, მწერლობის მეტს დაახლოვებასა და დაკავშირებას ჩვენი ხალხის ბრძოლისა და შემოქმედების ყოველდღიურობასთან, ხალხის საუკეთესო გრძნობებთან და მისწრაფებებთან.

და მიუხედავად ამისა დღესაც, სავსებით ძალაში რჩება ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** მიერ მოცემული შეფასება ქართული მწერლობის ვითარებისა. თუ მთლიანობაში გავითვალისწინებთ უკანასკნელი წლების ქართული მწერლობის მთელს შემოქმედებითს პროდუქციას, მასში ჩვენ ვერ დავინახავთ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის დღევანდელი ცხოვრების შესაფერად ღრმა და მაღალმხატვრულ სურათს, ვერ ვნახავთ მკაფიო, კონკრეტულ - სახეობრივ გამოხატულებას იმ დიდი ბრძოლის და შემოქმედებითი შრომისა, რის ჭეშმარიტად განსაცვიფრებელ მაგალითებსაც ყოველდღიურად გვაძლევს ჩვენი გმირი ხალხი საკოლმეურნეო მინდვრებზე, სოციალისტური მრეწველობის დაზგებზე, სამეცნიერო ლაბორატორიებში, ყოფა-ცხოვრებაში, ყველგან — ცხოვრების ყოველ სფეროსა და კუთხეში.

საბჭოთა ლიტერატურის ძირითად შემოქმედებითს ამოცანას ჩვენი ეპოქის, საბჭოთა ხალხის ცხოვრების ცოცხალი სინამდვილის მხატვრული ასახვა წარმოადგენს.

ეს გარემოება სრულიადაც არ გამორიცხავს ისტორიული თემატიკის უფლებას სოციალისტური ეპოქის მწერლობაში. საბჭოთა ხალხისათვის ძვირფასია თავისი გმირული წარსული, მით უფრო თავისი რევოლუციური ბრძოლების დაუვიწყარი ეპოპეა, რომელიც ყოველთვის დარჩება მხატვრული შთაგონების უხვ და საყვარელ წყაროდ, მაგრამ უდაოა, რომ ყოველი ეპოქის ლიტერატურა პირველყოვლისა თავისი თანამედროვეობის მხატვრულ ანარეკლს წარმოადგენს არა მარტო იდეების, არამედ თემატიკის მხრივაც. ამ სავსებით შემოწმებულ კანონზომიერებას არა თუ ვერ გადაუხვევს, არამედ განსაკუთრებულის ძალით განამტკიცებს ყველაზე ხალხური, ყველაზე იდეური და აქტუალური ლიტერატურა მთელს მსოფლიოში — საბჭოთა ლიტერატურა. მწერლობის მთელი ისტორია გვიჩვენებს, რომ ყოველი ეპოქის ლიტერატურას სარბიელზე გამოჰყავდა ახალი ტიპის ადამიანი, თავისი თანამედროვეობის ცენტრალური ფიგურა, თავისი დამახასიათებელი სპეციფიური იდეებით, განცდებით, მისწრაფებებით. ადამიანის, ეპოქის გმირის საშუალებით გამოჰხატეს ყოველი დროის დიდმა მხატვრებმა თავიანთი დროის იდეები და სოციალური პროცესები.

სოციალისტური რევოლუციის პირველ წლებში ჩვენი ლიტერატურა უმთავრესად ლირიკული პოეზიის ჟანრით ვითარდებოდა და მასში მეტად მკრთალად მოსჩანდა ახალი ცხოვრების კონკრეტული სინამდვილე, მით უფრო ახალი ადამიანის ტიპიური სახე. ძველი მხატვრული ინტელიგენცია ჯერ კიდევ ნელი ნაბიჯით და გაუბედავად უახლოვდებოდა ახალი ცხოვრების თემატიკას, ხოლო პროლეტარული პოეზია ამ პერიოდში უმთავრესად განყენებულად „კოსმიურ“ პლანში უმღეროდა რევოლუციას. ჩვენი მწერლობის განვითარების უპირველესი მაჩვენებელი იყო მწერლობაში ცოცხალი რევოლუციური სინამდვილის კონკრეტული თემატიკის დამკვიდრება, ამ სინამდვილეში შეჯახებული სოციალური ძალების ტიპიურ ადამიანთა სახეების გამოხატვა. ახალი შემოქმედებითი ძალების მოსვლამ ლიტერატურაში, რევოლუციამდელი თაობის საუკეთესო მწერლების გაბედულად გადმოსვლამ მშრომელი ხალხის მხარეზე და, რაც მთავარია, სოციალისტური აღმშენებლობის ძლევამოსილმა წინსვლამ მწერლობა დაუკავშირა სოციალური სინამდვილის კონკრეტულ თემატიკას. აღმოცენდნენ ფართო პლანის ეპიური ჟანრის მხატვრული ქმნილებანი რეალური ცხოვრებას ამსახველი სიუჟეტებით და ტიპაჟით. ჩვენს ქვეყანაში გაშლილი კლასობრივი ბრძოლა თანდათან უფრო მეტყველ და მკაფიო გამოხატულებას პოულობდა ლიტერატურაში. ამ ბრძოლის ასახვისას მწერლობაში გაჩნდნენ დადებითი გმირის, მოწინავე ადამიანის სახეები.

კონსტ. ლორთქიფანიძემ რომანში „იმერეთი“ („ძირს სიმინდის რესპუბლიკა“) დაგვანახვა ძველი ცხოვრების მიერ გათელილი და დაბეჩავებული ადამიანის აღორძინება, მისი გარდაქმნა და აქტიური გამოსვლა ფართო საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე. ეს იყო მექი, რომელიც საკოლმეურნეო მოძრაობის პირველი პერიოდისათვის დამახასიათებელი მძაფრი ბრძოლის გარემოცვაში ამაღლდა ახალი სოფლის მოწინავე ადამიანის შეგნების დონემდე. რომანის ეს პირველი წიგნი მხოლოდ გმირის პირველი გამოფხიზლების, ასე ვსთქვათ, „განკაცების“ პროცესს გვიჩვენებდა და თხრობა სწორედ იქ მთავრდებოდა, როცა მექი ნამდვილად საქმით უნდა დამდგარიყო ახალი ცხოვრების მშენებლობის ავანგარდში. ამის შემდეგ გმირის ცხოვრება ჩვენთვის დღემდე ცნობილი არ არის, ეს არის რომანის შემდეგი წიგნის თემა.

ამავე პერიოდში რაჟდენ გვეტაძემ თავის მოთხრობაში „თეო“ გვიჩვენა ბოლშევიკის — მირზას სახე. იგი, ყოფილი მოჯამაგირე, ჯერ კიდევ რევოლუციამდე დაკავშირებული კლასობრივი ბრძოლის საქმესთან, საბჭოთა საქართველოს პირველსავე დღეებში აღმოჩნდა ახალი ცხოვრების ზედაპირზე და რაც უფრო სწრაფად იღუპებოდა მირზას ყოფილი მებატონეების სამყარო, მით უფრო მეტის სისწრაფით მიიწევდა წინ მირზა გამარჯვებისა და ბედნიერების გზაზე. მაგრამ ამ ნაწარმოებში ავტორი უფრო ღრმად და დამაჯერებლად ძველი სამყაროს რღვევისა და დაღუპვის ისტორიას მოგვითხრობდა. ძველი ქვეყნის ადამიანთა ტიპაჟი აქ უფრო სისხლხორციანად არის დახატული, ვიდრე დადებითი გმირის, მირზას სახე.

ასევე ითქმის შალვა დადიანის დრამის „თეთნულდის“ შესახებ. ამ მრავალმხრივ საინტერესო ნაწარმოებში, რომელიც სვანეთის პატრიარქალური ყოფა-ცხოვრების ფონზე გვიხატავს ძველი და ახალი ცხოვრების ჭიდილს, უფრო მძლავრად და კოლორიტულად მოსჩანდა არგიშდი წარსულის ტრადიციის და ცრუმორწმუნეობის ეს ხორცშესხმული სახე, ხოლო გელახსანი ჯერ კიდევ სიმბოლიურად გვანიშნებდა ახალი ადამიანის ზრდას, მის გაბედულ მისწრაფებას წარსულის ცრუმორწმუნეობათა ყველა სიმაგრის დანგრევისაკენ, მის გამარჯვებას ამ მისწრაფებებში.

ცოტა უფრო გვიან დასწერა კონსტანტინე გამსახურდიამ „მთვარის მოტაცება“, რომელშიაც მწერალმა პირველად სცადა სოციალისტური სინამდვილის თემატიკაზე მუშაობა. ამ რომანის ღირსება-ნაკლის შესახებ აქ არაფერს ვიტყვით. ეს საკითხი უკვე საკმაოდ გარკვეულია ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მომაკვდავი სამყაროს ტიპების მძაფრად დახატული გალერეის გვერდით ავტორმა სცადა მოეცა ახალგაზრდა თაობის ტიპიური სახეც. ვერ ვიტყვით, რომ ამ მხრივ მწერლის ცდა გამარჯვებით დამთავრებულიყოს. არზაყანი, რა თქმა უნდა, არ გამოდგება ჩვენი ეპოქის ახალგაზრდა ადამიანის ტიპად, სამაგიეროდ რომანის უფრო პერიფერიული პერსონაჟებიდან გამოირჩევიან თუმცა ესკიზურად, შტრიხებით დახატული, მაგრამ წრფელი და დამაჯერებელი სახეები ჩვენი დროის დადებითი ადამიანებისა — ლიხელის, ჩალმაზის და სხვათა სახე.

ეს რამდენიმე ნაწარმოები საკმაო სიცხადით გვიჩვენებს ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ჩვენი ეპოქის გმირის გამოხატვის პირველ ეტაპს, როცა ჯერ კიდევ დადებითი ტიპი ნაწარმოების პერიფერიულ პლანზე იყო მოქცეული, ან იგი მომაკვდავ სამყაროს ადამიანთა ჩრდილქვეშ იყო დაყენებული, ან კიდევ ახალი ადამიანის ჩამოყალიბების მხოლოდ პირველი ნაბიჯები მოისმოდა.

სოციალიზმმა გაიმარჯვა ჩვენს ქვეყანაში. ქალაქად და სოფლად მეურნეობისა და ყოფა-ცხოვრების ახალი სოციალისტური ფორმები გამტკიცდნენ. კაპიტალისტური წარსულის უკანასკნელი ნაშთების ყოველგვარი წინააღმდეგობა ძლევამოსილად ნადგურდება და იმსხვრევა. ცხოვრების სრული ბატონ-პატრონი ახალი ადამიანი, სოციალისტური ეპოქის მოწინავე ადამიანად გადაიქცა, თავისი ახალი, კომუნისტური დამოკიდებულებით შრომისადმი, საზოგადოებისადმი, ოჯახისადმი.

ასეთი საზოგადოებრივი სინამდვილე უფრო აქტუალურად აყენებს მწერლობაში დადებითი გმირის პრობლემას. ჩვენს ცხოვრებაში, მის ყოველ უბანზე ათასობით ცხოვრობენ და მოქმედობენ ადამიანები, რომლებიც თავიანთ პიროვნებაში განასახიერებენ საბჭოთა ხალხის საუკეთესო თვისებებს: პატრიოტიზმის გრძნობას, სოციალიზმის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულებას, ღრმა ჰუმანიზმს, რევოლუციურ სიფხიზლეს, გმირობასა და უშიშრობას, პრინციპულობას, დისციპლინურობას.

და აი სწორედ აქ, ახალი ტიპის მხატვრობის სფეროში თავს იჩენს ის ჩამორჩენილობა და სისუსტე, რომელიც არა ერთ თანამედროვე მწერალს, არა ერთ თანამედროვე რომანს, პოემას თუ პიესას ახასიათებს.

ავიღოთ სანდრო შანშიაშვილის დრამა „ფოლადაური“. პიესა სოციალისტური სოფლის, საკოლმეურნეო გლეხობის ცხოვრებას ასახავს. ავტორს განუზრახავს გვიჩვენოს, თუ როგორ ანადგურებს ჩვენი ხალხის რევოლუციური სიფხიზლე კლასობრივი მტრის აგენტურას, როგორ მკვიდრდება ჩვენს სოფელში ახალი, ნათელი ცხოვრება. მართალია, პიესაში კოლორიტულად არის ნაჩვენები საკოლმეურნეო გლეხობის კოლექტიური შრომის ენტუზიაზმი, სოფლის ახალგაზრდობის ხალისიანი ცხოვრების ატმოსფერა, მაგრამ ავტორი ღრმად ვერა გრძნობს ახალ ადამიანებს, სოციალისტური სოფლის მოწინავე გმირებს. ისინი პიესაში მხოლოდ სქემების სახით მოქმედებენ და ამიტომაც მოკლებულნი არიან ემოციური ზემოქმედებისა და დამაჯერებლობის ძალას. ავტორი გვიხატავს ერთის მხრივ, დადებით გმირებად მოფიქრებულ ადამიანთა პასაჟებს —ნებისარის, გიორგის, ზაქარიას, თანდილას და სხვ. ხოლო მეორეს მხრივ—ერთი მავნებელი ბუხჰალტრის—ხარიტონის სახეს. ბრძოლა სწარმოებს ამ ორ ბანაკს შორის, და რას ვხედავთ?—ხარიტონი გაცილებით უფრო აქტიურია, მომქმედი და გამჭრიახი, ვიდრე ჩვენი დადებითი გმირები, ხარიტონი ახერხებს თავისუფლად ავრცელოს ათასგვარი პროვოკაციული ჭორი, თავის შავ-ბნელ საქმეებში ჩააბას კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე, გადაიბიროს მშრომელი გლეხი, უკმაყოფილების ატმოსფერა შექმნას სოფელში და კოლმეურნეობა დაშლის საფრთხის წინაშე დააყენოს. რას აკეთებენ ამ დროს „დადებითი“ გმირები — ნებისარი ან გიორგი, ფოლადაურად წოდებული? ისინი მიღწევებს ათვალიერებენ, მაღალფარდოვნად განკარგულებებს იძლევიან, ჯილდოებს არიგებენ, ლოზუნგების დეკლამაციას ეწევიან. მართალია, პიესა ხარიტონის დაპატიმრებით და კოლმეურნე გლეხობის ზეიმით თავდება, მაგრამ ბრძოლის ასეთი დასასრული მომზადებული როდია პიესაში დახატულ ძალთა განწყობილების ბუნებრივი განვითარებით. ეს ხდება მექანიკურად, წინასწარ გამზადებული სქემის მიხედვით.

საკოლმეურნეო ცხოვრების თემაზე დაწერილ საუკეთესო პიესას ჩვენს თანამედროვე დრამატურგიაში პოლიკარპე კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“ წარმოადგენს. მწერლის დამსახურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან შესძლო კომედიის ცენტრში დადებითი გმირის — გვირისტინეს დაყენება და მისი ცხოვრების მაგალითზე ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის ადამიანთა ამაღლების ჩვენება. მაგრამ ხომ ცხადია, რომ ეს ავტორიც ვერ მოთავსდა ჩვენს სინამდვილეში არსებულ ძალთა რეალური ურთიერთობის ფარგლებში. ისიც ვერ ასცდა უარყოფითი პერსონაჟის ხვედრითი წონის ხელოვნური გაზვიადების ცდუნებას. ნუთუ ტიპიურია და რეალური ჩვენი დღევანდელი სოფლისათვის ხახული და მანუჩარი, ნუ თუ რეალურ სინამდვილეში ხარიტონისა და ჯამლეთის ურთიერთშეფარდება მართლაც ისეთივეა, როგორც ამას ხსენებულ კომედიაში ვხედავთ?

უარყოფითი პერსონაჟის როლისა და მნიშვნელობის ხელოვნური გაზვიადება, რასაც არ შეიძლება შედეგად არ მოჰყვეს დადებითი გმირის ზემოქმედებითი ძალის შემცირება, ახასიათებს მთელ რიგ ნაწარმოებებს ჩვენს თანამედროვე ლიტერატურაში. ამის მრავალ მაგალითს ვხედავთ ჩვენ არა მარტო დრამატურგიაში, ჩვენი მწერლობის ამ განსაკუთრებით ჩამორჩენილ დარგში.

საყოველთაოდ აღიარებულია და სრულიად დამსახურებულადაც, რომ ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვა“ თანამედროვეობის თემაზე დაწერილი ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. ამ რომანის ცენტრალური პერსონაჟი, გვადი ბიგვა, რომელიც მეტად ორიგინალურ, ფსიქოლოგიურად რთულ და მძაფრად დახატულ სახეს წარმოადგენს, რა თქმა უნდა, არ გამოდგება ჩვენი საკოლმეურნეო გლეხობის ტიპიურ შემკრებ ფიგურად. მას არც აქვს ამისი პრეტენზია. ამ რომანშიც ძველი ადამიანური მასალა — გვადი, გოჩა, არჩილი უფრო ცოცხლად და მკვეთრად არიან დახატული, ვიდრე ახალი სოფლის მოწინავე ადამიანები—გერას, ნაიას, ელიკოს და სხვათა სახე. იქნებ გვითხრან, რომ ამ რომანის ავტორს თავის ნაწარმოებში უმთავრესად ადამიანის გარდაქმნის, ძველი ცხოვრებით გატეხილი და დაბეჩავებული ადამიანობის აღდგენის და აღორძინების პროცესის ჩვენება ჰქონდა განზრახული. ეს მართალია, და ეს წიგნი სწორედ ამ თვალსაზრისით იმსახურებს მოწონებას. მაგრამ რამდენად მეტი იქნებოდა ამ ნაწარმოების შემეცნებითი და ესთეტიური ღირებულება, რომ მასში უფრო ღრმად და ძლიერად გამოხატულიყო ის ძალა (რასაკვირველია ტიპიურ სახეებში პერსონიფიცირებული), რომელიც გარდაჰქმნის და აამაღლებს გვადის და გოჩას, რომელიც არსებობის საშუალებას უსპობს არჩილ ფორიას და ახალი ცხოვრების ნათელს ამკვიდრებს ჩვენს ქვეყანაში.

დადებითი გმირის მხატვრობის თვალსაზრისით ჩვენი ლიტერატურის ეს ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებიც კი ვერ ასახავს მთელი სისრულით და სიმართლით ჩვენს ცხოვრებაში არსებულ რეალურ სინამდვილეს.

გასულ წელს დემნა შენგელაიამ თავისი ახალი მოთხრობების კრებული გამოაქვეყნა. ეს წიგნი მრავალმხრივ არის საყურადღებო—როგორც იდეურობის თვალსაზრისით, ისე მხატვრული სიტყვის ოსტატობის მხრივ. მაგრამ პირველივე შეხედვით ცხადი ხდება, რომ ისტორიული პერსონაჟები უფრო მეტი დრამატიზმით, უფრო ძლიერი მხატვრული გზნებით არიან ამ წიგნში დახატული, ვიდრე თანამედროვეობის ტიპიური ადამიანები. ვერც „ქორედედალაში“, ვერც „ტაიაში“, ვერც „შუღლში“ ავტორმა ვერ მიაღწია იმ ემოციურობას, აზრისა და სურათის იმ სიმკვეთრეს და მიმზიდველობას, რომლითაც ხასიათდება ამავე კრებულში მოთავსებული მოთხრობები: „ბაშკადიკლარი“, „ყაზავათი“ და, განსაკუთრებით „შემოქმედი“ — ეს შესანიშნავი ნოველა, რომელშიც მწერალმა დიდის ხელოვნებით დახატა რუსთაველის ეპოქის ქართული სულიერი ცხოვრების მეტყველი სურათი.

ასეთსავე მდგომარეობას ვხედებით სერგო კლდიაშვილის ეხლახან გამოცემულ დიდ წიგნში— „რჩეული პროზა“. ეს წიგნი სახეთა მრავალფეროვან გალერეას შეიცავს. „პროვინციის მთვარეში“, „ფერფლში“, სვანური მოთხრობების ციკლში არა ერთი ცოცხლად დახატული ადამიანური სახეა, რომელიც წიგნის წაკითხვის შემდეგ განაგრძობს ცხოვრებას მკითხველის მეხსიერებაში. და მაინც მთელი ამ წიგნის პერსონაჟებიდან ყველაზე მკრთალი და მსწრაფლწარმავალი სწორედ იმ ნოველების გმირები არიან, რომლებიც ჩვენი თანამედროვეობის პროცესებს ასახავენ („მტრები“, „ზეიმი“, „თქვენი გამარჯვებისა, ძმებო“).

ეს მაგალითები ცხადად გვიჩვენებენ, რომ თანამედროვე ქართულ მხატვრულ პროზაში ჯერ კიდევ შესაფერი ხვედრითი წონა ვერ მოუპოვებია ჩვენი ეპოქის გმირს. ბევრს ვერ შეხვდებით ისეთ მხატვრულ ნაწარმოებს, სადაც ყურადღებისა და ინტერესის ცენტრში ჩვენი დროის ტიპი იყოს მოქცეული. ამ მხრივ ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს ალ. ქეიშვილის რომანი „ლელო“. ამ ნაწარმოების ავტორს შეიძლება ბევრი რამ ვუსაყვედუროთ: კომპოზიციური მთლიანობის მიუღწევლობა, სიუჟეტის ფრაგმენტულობა, სიტყვიერი მასალის ზედმეტად დატვირთვა პროვინციალიზმებით და სხვა. მაგრამ უდაოა, რომ ამ წიგნის პერსონაჟებს შორის ყველაზე თბილად და წრფელად დახატულ სახეებს ცაცინო და ქიშვარდი წარმოადგენენ — ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის ტიპიური მოწინავე ადამიანები. ავტორი გრძნობს შინაგან სიახლოვეს თავის ამ გმირებთან. ეს უკვე ისეთი ღირსებაა, რომელიც დიდად დაეხმარება მწერალს დასძლიოს ესა თუ ის ნაკლი, რადგან ახლის გრძნობა, ცხოვრების სიმართლის ხედვა და განცდა უპირველეს პირობას წარმოადგენს თანამედროვე მწერლის შემოქმედებითი წინსვლისათვის.

პოეტური ეპოსის დარგში ჩვენი თანამედროვე პოეზია ჯერ კიდევ პირველი ცდების სტადიაში იმყოფება. გამოქვეყნებული პოემების უმრავლესობა არ შეიცავენ არც სიუჟეტს, არც ტიპაჟს და უფრო განვრცობილ ლექსებს ან ლირიკული ფრაგმენტების ნაკრებს წარმოადგენენ. ერთად-ერთი გამონაკლისს ამ თვალსაზრისით ალიო მაშაშვილის პოემა „ენგური“ წარმოადგენს. ეს პირველი ნაწარმოებია ახალ ქართულ პოეზიაში, რომელიც ასახავს ჩვენი სინამდვილის პროცესებს ტიპიური ადამიანების სიუჟეტური დრამისა და ცხოვლად დახატული ყოფაცხოვრებითი სურათების მეშვეობით. სამეგრელოს პეიზაჟების დახატვაში, საკოლმეურნეო სოფლის მზიური ცხოვრების დამახასიათებელი ფერადოვანი სურათების გადმოცემაში, ჩვენი ხალხის შრომითი ენტუზიაზმის ასახვაში, წარსულის ადამიანთა ტიპაჟის განსახიერებაში პოეტმა უეჭველად მიაღწია საგრძნობ ძალასა და სიღრმეს. ამ პოემის უპირველესი ღირსება მაინც ის არის, რომ სიუჟეტური დრამის ცენტრში ჩვენი ეპოქის დადებითი გმირი ბურდუ შელია არის დაყენებული. მკითხველი უშუალოდ განიცდის ამ გმირის სულიერ დრამას და თანაუგრძნობს მის მწუხარებას და სიხარულს. ეს ემოციური კონტაქტი პერსონაჟისა მკითხველთან უკვე ბევრს ლაპარაკობს პოემის სასარგებლოდ. და მაინც ბურდუ შელიას სახით პოეტმა ვერ მოგვცა ჩვენი დროის ახალგაზრდობის სრულყოფილი ტიპი. ის სულიერი დაცემულობა, რომელმაც მოიცვა ბურდუ შელიას არსება ფიზიკური დაავადების შედეგად, უკვე უკარგავს ამ გმირს ტიპიურობისა და განზოგადების ძალას. მან ხელი აღმართა საკუთარი სიცოცხლის წინააღმდეგ, მას არ აღმოაჩნდა შინაგანი ძალა და ნებისყოფა, რომ დაეძლია შემთხვევითი უბედურობით გამოწვეული სულიერი ტკივილები და მხოლოდ შემთხვევამ — მოხუცი მამის შემოსწრებამ სასიხარულო ცნობით—იხსნა ბურდუ შელია ფიზიკური და მორალური სიკვდილისაგან.

„ენგურში“, რომლის ცენტრალურ პრობლემას პიროვნებისა და კოლექტივის ურთიერთობის საკითხი შეადგენს, პოეტს უნდოდა ეჩვენებინა ჩვენი დროების ის დიადი ძალა, საბჭოთა ხალხის ის გულისხმიერება პიროვნებისადმი, პარტიის ის მზრუნველობა ადამიანზე, რომელსაც შეუძლიან დაღუპვის პირად მისული ადამიანი აღადგინოს და იგი კვლავ გმირად აქციოს. ეს აზრი განსახიერა კიდევაც პოეტმა ამ ნაწარმოებში. მაგრამ თვით გმირმა რამდენადმე დაჰკარგა ის თვისებები, ნებისყოფის ძალა, დაბრკოლებათა წინაშე ქედმოუხრელობის უნარი, რის გარეშეც წარმოუდგენელია მორალური სახე თანამედროვე მოწინავე ადამიანისა.

ამ ნაკლთა მიუხედავად, ალიო მაშაშვილის ხსენებული პოემა, ვიმეორებთ, ერთად-ერთი ცდაა თანამედროვე ქართულ პოეზიაში იმ დიდი ტრადიციის აღდგენისა და ახლებურად აღორძინებისა, რომელიც პოეტური ეპოსის დარგში გამოიმუშავა თუნდაც მე-19 საუკუნის ქართულმა ლიტერატურამ. სამწუხაროა, რომ ჩვენი პოეზიის სხვა მოწინავე ოსტატები ჯერ კიდევ მხოლოდ ლირიკული ჟანრით განსაზღვრავენ თავიანთ პოეტურ მოღვაწეობას.

უკანასკნელ ხანებში რამდენიმე პოემა დასწერა სოლომონ თავაძემ მეტად აქტუალურ თემებზე. ამ პოემებში ავტორმა განიზრახა, დაეხატა ჩვენი დროის მოწინავე ადამიანთა სახეები და ეჩვენებინა მათი საგმირო საქმეები კომუნიზმისათვის ბრძოლაში. ასეთია მისი პოემების „მზიან ლაურის“ და „გმირთა დიდების“ იდეურ-თემატიური მიზანდასახულება, მაგრამ ვერც ერთი ეს ნაწარმოები ვერ გვიხატავს რეალურ ადამიანურ სახეებს, ტიპიურ ხასიათებს ვერ გვაძლევს ჩვენი ეპოქისათვის დამახასიათებელ გარემოებათა მართალ და დამაჯერებელ ანარეკლს. მწერალი პლაკატურად ხატავს თავის გმირებს. დადებითი ადამიანებს იგი მოსავს ხელოვნური, არაადამიანური შარავანდედით, ხოლო ასევე სქემატურად განასახიერებს უარყოფით ტიპაჟს, სოციალიზმის მტრების სახეებს. იგი თხზავს განზრახ გართულებულს, რეალური შესაძლებლობის ფარგლებიდან გამოსულ სიუჟეტურ სიტუაციებს, განზრახ მოაქცევს ხოლმე თავის დადებით გმირებს გადაულახველ წინააღმდეგობათა რკალში და შემდეგ ეს ადამიანები რაღაც ზღაპრული ძალით, იოლად, წარბშეუხრელად არღვევენ და სძლევენ ამ წინააღმდეგობებს. არა თუ სიუჟეტური სიტუაციები და გმირთა სახეები, არამედ პეიზაჟებიც ამ პოემებში დახატულია აბსტრაქტულად, რეალურისა და ბუნებრივის გრძნობის გარეშე. ხელოვნური პათეტიკა და რიტორიულობა ახასიათებს ამ პოემების სტილს, მეტყველებას.

მკითხველი აშკარად გრძნობს, რომ ამ პოემებში დატრიალებული დრამა ავტორის ფანტაზიის ნაყოფია და არაცოცხალი სინამდვილის ანარეკლი. ამიტომაც მცირეა ამ ნაწარმოებთა ემოციური ზემოქმედების ძალა. გარეგნულად, ერთი შეხედვით მათში ყველაფერი რიგზეა — არის სიუჟეტიც, რითმებიც, სახეებიც, კონტრასტებიც, მაგრამ არ არის მთავარი — ცხოვრების სიმართლე და სიწრფელე, რაც აუცილებელი პირობაა ყოველგვარი პოეზიისათვის.

სიუჟეტურ სიტუაციათა ასეთი ხელოვნურობა და ნაწარმოების გმირთა სწორხაზოვანი პლაკატური მხატვრობა დამახასიათებელია თანამედროვე მხატვრული პროზის არა ერთი ნაწარმოებისათვის.

თანამედროვე ქართული მწერლობის ეს რამდენიმე ნიმუში ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმის შესახებ, თუ როგორის მანძილით არის ჯერ კიდევ დაშორებული ჩვენი მწერლობა ეპოქის დადებითი გმირის ღრმა და სრულყოფილი მხატვრული სახის გამოკვეთის ამოცანას. რით უნდა აიხსნას ეს გარემოება? ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური კანონზომიერება, რომელიც განაპირობებდეს ასეთ ვითარებას?—არავითარ შემთხვევაში. ყოვლად უმწეოა და უსაფუძვლო ყოველგვარი ცდა რაღაც „თეორიების“ გამოგონებისა ამ დისპროპორციის ასახსნელად და გასამართლებლად. ხშირად გვესმის, მაგალითად, მტკიცება, რომ ახალი ადამიანი ჯერ არ ჩამოყალიბებულა, იგი ჯერ კიდევ ფორმაციის პროცესშია და ამიტომ თითქოს შეუძლებელი ან განსაკუთრებით ძნელი იყოს მისი მხატვრული სახის შექმნა.

ჯერ ერთი, ეს აზრი ფაქტიურად არ არის მართალი. ახალი ადამიანი რეალურად ცხოვრობს და მოქმედობს ჩვენს სინამდვილეში. თითქმის მეოთხედი საუკუნეა, რაც იგი აშენებს ახალ სოციალისტურ ცხოვრებას დედამიწის ერთ მეექვსედზე. საბოლოოდ დასრულებული და უმოძრაო ადამიანური ხასიათი არასოდეს არ მდგარა აქტუალური და მებრძოლი მწერლობის ყურადღების ცენტრში. არასოდეს არავის არ შეუჩერებია ცხოვრების მდინარება იმ აზრით, თითქოს მხატვრული განსახიერება აუცილებლად მოითხოვდეს ობიექტის სტატიურ მდგომარეობას.

უსაფუძვლოა აგრეთვე იმის მტკიცება, თითქოს უარყოფითი პერსონაჟი უფრო ადვილად დასაუფლებელი და გამოსახატავი იყოს მწერლობაში, ვიდრე დადებითი ტიპი. ასეთი დებულება შეიძლება სწორი აღმოჩნდეს მხოლოდ კრიტიკული რეალიზმის შემოქმედებითი პრაქტიკის საფუძველზე, მაგრამ სრულიად საწინააღმდეგოს გვიმტკიცებენ ხელოვნებისა და ლიტერატურის აყვავების სხვა დიადი ეპოქები. განა ჰომეროსის, რუსთაველის, შექსპირის, შილერის, პუშკინის და სხვა მსოფლიო გენიოსთა შემოქმედება არ გვაძლევს პოზიტიურ სახეებში განხორციელებულ მოწინავე იდეებს მათი ეპოქებისას?

ჩვენი ლიტერატურის ჩამორჩენილობის მიზეზი ამ მიმართულებითაც მხოლოდ და მხოლოდ თვით ჩვენი მწერლობის შემოქმედებითი ცხოვრების სფეროში უნდა ვეძიოთ. საქმე ისაა, რომ ჩვენი მწერლობის საგრძნობი ნაწილი ცხოვრების მეთვალყურის, მაყურებლის როლში გამოდის, იგი ჯერ კიდევ არ არის ისეთი ორგანიულობით დაკავშირებული ცოცხალ სინამდვილესთან, რომ მწვავედ გრძნობდეს მოთხოვნილებას — შემოქმედებითი პასუხი გასცეს დროების აქტუალურ მოვლენებს და პრობლემებს.

მთავარი მაინც ის არის, რომ ჩვენი მწერლობა ჯერ კიდევ კარგად ვერ იცნობს ჩვენი სოციალისტური ცხოვრების რთულსა და უაღრესად მდიდარ სინამდვილეს. ცხოვრების გამოცდილებით გამდიდრება, **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიის თეორიის დაუფლებასთან ერთად, არის აუცილებელი პირობა ჩვენი ლიტერატურის შემდგომი წინსვლისათვის.

საბჭოთა ლიტერატურის ყოველმა შემოქმედებითმა ძალამ, მთელმა ჩვენმა სამწერლო კოლექტივმა თანმიმდევრულად და ენერგიულად უნდა იბრძოლოს ამ ხარვეზების ამოსავსებად, ამ სიძნელეების დასაძლევად. სხვაგვარად შეუძლებელია ჩვენი წარმატებული წინსვლა სოციალისტური რეალიზმის დიადი ხელოვნებისათვის ბრძოლაში.

ეროვნული

ლ ე ქ ს ე ბ ი

მ. ლერმონტოვი

სამშობლო

მიყვარს სამშობლო, მაგრამ გრძნობით განსხვავებულით!
ვერ დაიმონებს ამ სიყვარულს ჩემი გონება.
არცა დიდება სისხლის ფასად მოპოვებული,
არც ამაყ ნდობით აღჭურვილი ეს მყუდროება,
და არც წარსულის შორეულის თქმულება ძველი
არ არის ჩემთვის სანეტარო ოცნების მგვრელი.

მაგრამ მე მიყვარს, მხოლოდ რისთვის, არ ვიცი თავად,
მისი ველების მდუმარება სიცივით სავსე,
მისი უსაზღვრო ტყეების დარხევა მძლავრად,
მდინარეთ გაშლა გაზაფხულზე ზღვებისა მსგავსი...
სოფლის შარა-გზით გაქროლება მახარებს ეტლით
და, დინჯი ცქერით რომ გავყურებ ბნელეთს ღამისას,
მიყვარს დანახვა — მოსასვენებ ბინას რომ შევტრფი —
გზა და გზა შუქის კაეშნიან, მძინარ დაბისა.

მიყვარს მომწვარი ნამკალი ბუჩში,
ველად მოხეტე ურემი კენტად
და შორს გორაკზე, რომ მოსჩანს ბუჩში,
წყვილი არყის ხე ბრწყინავი თეთრად.

ბევრისთვის უცნობ სიამის თვალით
ვუცქერი კალოს ძნების ხვავებით,
ქოხის სახურავს, დაფარულს ჩალით,
ფანჯრებს ამოჭრილ საკეტავებით.

უქმე დღით, შემკულს საღამოს შუქით,
ვუყურებ დიდხანს და არც ვიღლები,
ცეკვას და თამაშს სტვენით და ბუქნით,
შერეულს მთვრალი გლეხების ხმებით.

იალქანი

შორს იალქანი ბრწყინვალებს მარტოდ
ზღვის ცისფრად გაშლილ სიელვარეში.
უცხო ქვეყნებში ნეტავ რას ნატრობს?
ან რა დასტოვა მშობელ მხარეში?

თამაშობს ტალღა, უბერავს ქარი
და ილუნება ჭრიალით ანძა.
შვების მძებნელი იგი არ არის
და არც გაურბის ამ შვების განცდას!..

მის ქვევით ლურჯი ზვირთი მიგალობს,
ზევით მზე სივრცეს სხივებით იპყრობს:
ის კი, მშფოთვარე, უხმობს გრიგალებს,
თითქოს გრიგალში მშვიდობა იყოს!

თარგმ. კოლაუ ნადირაძისა

კონსტ. გამსახურდიას კინო-სცენარი: „დავით აღმაშენებელი“

5 ოქტომბერს მწერალთა კლუბში კონსტ. გამსახურდიამ წაიკითხა თავისი კინო-დრამატიული ნაწარმოები „დავით აღმაშენებელი“. ეს ნაწარმოები თვალწინ გვიშლის მეთორმეტე საუკუნის დასაწყისის საქართველოს, დავით აღმაშენებლის ეპოქას. მასში ასახულია ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა გარეშე დამპყრობლებისა და შინაური, განდგომილი ფეოდალების წინააღმდეგ. სცენარის ცენტრში, ცხადია, დავით აღმაშენებლის პიროვნება სდგას; აქ დავითი ნაჩვენებია არა მარტო შესანიშნავ სარდლად და სახელმწიფო მოღვაწედ, არამედ ისეთ ადამიანადაც, რომელსაც უაღრესად მდიდარი სულიერი ცხოვრება ჰქონდა. ამავე დროს ავტორმა გვიჩვენა დავითის უდიდესი ინტერესი იმდროინდელი მსოფლიოს ფილოსოფიურ და რელიგიურ მოძღვრებებისადმი.

რვა ოქტომბერს გაიმართა კამათი. კამათში პირველად სიტყვით გამოვიდა. ა. ბელიაშვილი. ორატორმა, დაახასიათა რა დავით აღმაშენებლის პიროვნება, არ დაეთანხმა სცენარის ავტორის კონცეპციას. ბელიაშვილის აზრით, სცენარში არ არის საჭირო ასახული იყოს დავითის ინტიმური ცხოვრება, მისი სიყვარული ლიპარიტ ერისთავის ასულთან — დედისიმედთან. ორატორის აზრით, ეს რომანიული ხაზი თითქოს ჩრდილავს დავითის პოლიტიკურ ბრძოლას, დაუცხრომელ სახელმწიფოებრივ საქმიანობას.

ბ. ჟღენტმა სრულიად არ გაიზიარა წინა ორატორის მოსაზრება, თითქოს ამ სცენარში დავითის ინტიმური დრამა საჭირო არ იყოს. პირიქით, — სთქვა მან, — არ უნდა დავივიწყოთ, რომ ისტორიული პიროვნებანი ადამიანები არიან და არაფერი ადამიანური მათთვის უცხო არ არის. დავითისა და დედისიმედის სიყვარულის ტრაგედია სცენარში აუცილებლად უნდა იყოს, ის უფრო ნათლად წარმოგვიდგენს ისტორიული პიროვნების სულიერ კეთილშობილებას და სიდიადეს. დავითი აქ ნაჩვენებია, როგორც მგზნებარე მიჯნური, რომელსაც თავისი პირადი სიყვარული მსხვერპლად მიაქვს სამშობლოს ინტერესების წინაშე. აქ პირადი ორგანიულად დაკავშირებულია საზოგადოებრივთან. ეს პირადი სიყვარულის ამბავი სრულიადაც არ ჩრდილავს დავითს, როგორც სახელმწიფო ადამიანს. პირიქით, უფრო ღრმად ხსნის გმირის ისტორიულ მისიას. მწერალმა კარგად ასახა ეპოქა, მოგვცა მძაფრი სიუჟეტური დრამა და სწორედ ამიტომ მას ალაგ-ალაგ ისტორიული ქრონიკიდან გადახვევა მოუხდა.

შემდეგ ორატორმა აღნიშნა, რომ მწერალი, როგორც მისი სცენარიდან სჩანს, მიჩვეული არ არის კინოს სპეციფიურ ენას. ამას გარდა, სიუჟეტში არის ისეთი ეპიზოდები, რომელთა ამოღება უმტკივნეულოდ შეიძლება. ორატორს თავის აზრის დასასაბუთებლად მოჰყავს ეპიზოდი, სადაც დავითი იყალთოს აკადემიას ათვალიერებს.

სიმ. ჩიქოვანის აზრით, სცენარი თუმცა კარგი ლიტერატურული ნაწარმოებია, მაგრამ მასში ბევრია თეატრალური და არა კინოხელოვნებისათვის დამახასიათებელი სცენა. ეს უთუოდ ტექნიკური ნაკლია სცენარისა. სცენარის ერთ-ერთ ღირსებად ორატორს მიაჩნია ის, რომ მასში მარჯვედ არის გამოყენებული ფოლკლორული ელემენტი, რომელიც აცოცხლებს ისტორიულ გარემოცვას და ისტორიულ ფონს. ორატორის აზრით, ავტორს სიუჟეტის გამძაფრების მიზნით ოსტატურად აქვს ჩართული სცენარში არარსებული ისტორიული სიტუაციები (დავითის და დედისიმედის სიყვარული და სხვ.) და ცალკე ეპიზოდები. ეს მხატვრული ნაწარმოებისათვის სავსებით ბუნებრივია და არ ამახინჯებს ისტორიულ სიმართლეს. რომანტიული ქარგა, რომელიც ავტორმა მიაწერა დავითის ცხოვრებას — გარკვეულობას აძლევს დავითის პიროვნებას და არა თუ არ ჩრდილავს მის სახეს, არამედ უფრო ნათელი ფერით წარმოგვიდგენს.

და, ბოლოს, ორატორმა აღნიშნა, რომ ბატალურ სცენებში მეტი პლასტიურობაა საჭირო.

სიუჟეტი ავტორს ძირითადად სწორად აქვს მოხაზული, — სთქვა პროფ. ს. ჯანაშიამ. — დედისიმედის ამბავი საჭიროა იმისათვის, რომ დავითის სახე სქემატიური არ იყოს, მას მეტი სიცოცხლე და მიმზიდველობა მიეცეს. აქ ხელოვანი სავსებით სწორედ იქცევა, როცა ზომიერ თავისუფლებას იჩენს ისტორიული ქრონიკიდან გადახვევის საქმეში.

ასეთი გამოგონება (იგულისხმება დედისიმედის სიყვარული) სავსებით დასაშვებია; მხოლოდ იგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ისტორიულ სინამდვილეს. თუ ამბავი არ მომხდარა, იგი შესაძლებელი მაინც უნდა იყოს. დავითისა და დედისიმედის სიყვარული და მით უმეტეს დანიშვნა კი შეუძლებელია იმიტომ, რომ, ქართული სამართლის მიხედვით საქართველოს მეფეს არა ჰქონდა უფლება ცოლად შეერთო თავისი ქვეშევრდომის ქალიშვილი. ეს არ ეთანხმება ძველ ქართულ ტრადიციას. ამის საილუსტრაციოდ გავიხსენოთ თუნდაც ლაშა გიორგის ამბავი, რომელმაც დაარღვია წესი და აზნაურის ქალი შეირთო, მაგრამ დიდებულებმა ნება არ მისცეს, ქორწილი ჩაუშალეს და ცოლი „წაჰგვარეს“. დავითს რომ დედისიმედის შერთვა განეზრახა, დარბაზი აუცილებლად მისი წინააღმდეგი იქნებოდა და ეს სცენარის ავტორს უნდა ეჩვენებინა.

მიუხედავად ამ შენიშვნებისა, სცენარის განხორციელებას, — სთქვა ორატორმა, — ექნება არა მარტო მხატვრული, არამედ შემეცნებითი ღირებულებაც. ეს სურათი დაეხმარება ჩვენს ახალგაზრდობას უკეთ წარმოიდგინოს იმ დროინდელი ეპოქა მთელი თავისი სირთულით და მრავალფეროვნებით.

სახკინმრეწვის კინოსტუდიის დირექტორმა ა. გიგოშვილმა, ილაპარაკა რა ისტორიული ფილმების მნიშვნელობაზე, აღნიშნა, რომ ქართულ კინო-ხელოვნებას დღემდე არც ერთი ისტორიული ფილმი არ მოუცია, ეს კი აუცილებლად საჭიროა, რადგან კინო არის საუკეთესო საშუალება ჩვენი ისტორიის პოპულარიზაციისათვის. შემდეგ მან აღნიშნა, რომ სცენარში ნაკლებად სჩანს სპეციფიური კინო-ენა. მრავალი ეპიზოდი მოცემულია თხრობის, დიალოგების საშუალებით, რაც შეიძლება უნდა შემოკლდეს სიტყვიერი მასალა და მეტი მოძრაობა, მეტი მოქმედება იყოს.

საბოლოო სიტყვაში კონსტ. გამსახურდიამ უპასუხა ა. ბელიაშვილს, რომ ისტორიულ დრამაში თუ არ არის რომანიული ინტრიგა, შეგვრჩება მხოლოდ თემატიური კინო-ქრონიკა. პროფ. ჯანაშიას შენიშვნაზე იმის შესახებ, თითქოს დავითს არ შეიძლებოდა შეერთო ლიპარიტ ბაღვაშის ასული, ავტორმა უპასუხა, რომ ლიპარიტი არ იყო უბრალო ფეოდალი. ლიპარიტ ბაღვაშის პაპას (დიდ ლიპარიტს) ბერძნებმა არხეგოსი უწოდეს, იგი დავითის პაპას, ბაგრატ მეოთხეს, საქართველოს ტახტს ეცილებოდა. ამიტომ ქართული სამართლის ტრადიცია არ დაირღვეოდა, თუ დავითი ლიპარიტის ასულს შეირთავდა. რაც შეეხება ბატალურ სცენებს, სცენარში არის მხოლოდ ორი ბატალური ეპიზოდი, რომელთათვის, კერძოდ, დიდგორის ბრძოლისთვის გვერდის ავლა ყოვლად შეუძლებელია.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობა

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში

მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის მატერიალური და კულტურული მდგომარეობის ამაღლება

ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის მოხსენებიდან 1940 წლის 16 მარტს

(დასასრული)

არარუსულ სკოლებში შესამჩნევად გაუმჯობესდა.

სკოლებში რუსული ენის სწავლების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის საჭიროა გაძლიერდეს მეთოდური დახმარება ამ საგნის მასწავლებლებისადმი და თანდათანობით, ახალი კადრების გამოშვების მიხედვით, შეცვლილ იქნან სუსტი მასწავლებლები უფრო კვალიფიციურებით.

საქართველოს სსრ განსახკომის სკოლამდელ დაწესებულებათა სისტემის ქსელი 254-დან 273-მდე გაფართოვდა და ბავშვების რაოდენობა მათში 20.865-დან 22.408-მდე გადიდდა.

მიუხედავად ყველა ამ ღონისძიებებისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი სკოლები ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ ართმევენ თავს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანებს.

ნათელი სასკოლო შენობები, საბავშვო კინოები, თეატრები, საზაფხულო გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი, რომლებიც ყოველწლიურად ეწყობა, და კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით სკოლების ძირითადად უზრუნველყოფა—ჰქმნის ყველა პირობას იმისათვის, რომ ჩვენს სკოლებში სწავლება ჯეროვან დონეზე იქნას დაყენებული.

მაგრამ, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენების საერთო გაუმჯობესებასთან ერთად, სკოლებში ჯერ კიდევ გვაქვს მთელი რიგი ნაკლოვანებანი. მოსწავლეთა აბსოლუტური წარმატებულობა კვლავ დაბალია, დისციპლინა მოსწავლეთა შორის ბევრ სკოლაში სუსტია. ზოგიერთ მოწაფეთა შორის ვხვდებით ხულიგნობის ელემენტებს, მასწავლებლებისადმი უპატივცემლობას და სხვა არაჯანსაღ მოვლენებს. ადგილი აქვს აგრეთვე ბავშვების განთესვას საშუალო სკოლის პირველ 4 კლასში.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ თავისი ხელმძღვანელობა მოზარდი თაობის აღზრდისადმი, ჩააბან ამ საქმეში მშობელთა ფართო ფენები, მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა და საბოლოოდ გააჯანსაღონ სკოლის—კომუნიზმის მშენებელთა მომავალი კადრების ამ სამჭედლოს მუშაობა.

ხელოვნება და ლიტერატურა

საანგარიშო პერიოდი ხასიათდება ქართული საბჭოთა ხელოვნების შემდგომი იდეურ - შემოქმედებითი ზრდით. გაიზარდნენ და განმტკიცდნენ სცენის, მუსიკისა და ფერწერის ოსტატთა კადრები.

წარმატებით განაგრძობს თავის შემოქმედებით გზას რუსთაველის სახელობის თეატრი, რომელმაც განახორციელა მხატვრული ღირებულების შემცველი და იდეური შინაარსით ავსებული მთელი რიგი დადგმები: პოგოდინის „თოფიანი კაცი", კორნეიჩუკის—„ბოგდან ხმელნიცკი", შიუკაშვილის — „სულელი", დადიანის — „გუშინდელნი" და სხვ.

ცუდად არ მუშაობდა მარჯანიშვილის სახელობის თეატრიც, რომელმაც დასდგა საბჭოთა პიესები „კოლმეურნის ქორწინება"—დრამატურგ კაკაბაძისა „მათი ამბავი"—გაბესკირიასი, კლასიკური კომედია „მადამ სან-ჟენ" და სხვ.

გრიბოედოვის სახელობის თეატრს დამსახურებული წარმატება აქვს მაყურებლებში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თეატრის მუშაობა შ. დადიანის ცნობილი ისტორიულ-რევოლუციური პიესის „ნაპერწკლიდან" დადგმისათვის.

ეს პიესა დასდგა აგრეთვე სომხური დრამის თეატრმა, რომელიც უკანასკნელ წლებში სერიოზულ შემოქმედებითს კოლექტივად გაიზარდა.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა საოპერო თეატრის რეპერტუარი. დაიდგა საბჭოთა ოპერები: „წყნარი დონი", „ჯავშნოსანი პოტიომკინი" და ბალეტი „ბახჩისარაის შადრევანი".

თეატრმა ვერ შესძლო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გაემდიდრებინა თავისი რეპერტუარი ახალი ქართული საოპერო ნაწარმოებებით. ეს მისი მუშაობის ერთერთი ყველაზე სერიოზულ ნაკლოვანებათაგანია.

ამჟამად უკვე დაწერილია და დასადგმელად მზადდება კომპოზიტორ ანდრიაშვილის ოპერა „კაკო ყაჩაღი", ი. ჭავჭავაძის პოემის მიხედვით, და კომპოზიტორ შ. თაქთაქიშვილის ოპერა „დეპუტატი".

კომპოზიტორი ტუსკია სწერს ოპერას სამშობლოს თემაზე და კომპოზიტორი კილაძე ოპერას მგზნებარე რევოლუციონერ-ლენინელზე, დიდი სტალინის თანამებრძოლ ლადო კეცხოველზე.

თეატრის კოლექტივმა უფრო მჭიდრო კავშირი უნდა დაამყაროს კომპოზიტორებთან და აღმოუჩინოს მათ შემოქმედებითი დახმარება. თეატრთან თანამშრომლობით კომპოზიტორები უფრო ადვილად დასძლევენ თანამედროვე თემებზე ახალი ნაციონალური ოპერებისა და სხვა მუსიკალური ნაწარმოებების შექმნის ამოცანას.

ოპერის თეატრის ხელმძღვანელობა და ხელოვნების საქმეთა სამმართველო უფრო მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდონ ახალი კადრების აღზრდის საქმეს, უფრო გაბედულად მიანდონ საპასუხისმგებლო პარტიები ნიჭიერ არტისტებს ახალგაზრდებიდან. ამასთან ერთად საჭიროა თეატრის შემოქმედებითს მუშაკებს შეუქმნათ საჭირო პირობები მათი იდეური დონისა და შესრულების ოსტატობის შემდგომი ამაღლებისათვის.

ორი წლის განმავლობაში საქართველოს თეატრებმა უჩვენეს სულ 278 ახალი დადგმა და 9.636 რიგითი წარმოდგენა. ამ სპექტაკლებს დაესწრო 3.446.2 ათასი კაცი.

ჩვენი თეატრები განუწყვეტლივ უნდა აუმჯობესებდნენ თავისი კადრების კვალიფიკაციას და იძლეოდნენ სრულფასოვან მხატვრულ დადგმებს თანამედროვე თემებზე, პარტიის ისტორიის, ქართველი ხალხის ისტორიის, სოციალისტური მშენებლობის თემებზე, მათ უნდა შექმნან გმირული სპექტაკლები, რომლებიც აღზრდიან და ასახავენ საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმის წმინდათაწმინდა გრძნობას.

საქართველოს მხატვრებმა საანგარიშო პერიოდში შექმნეს ახალი ტილოები, რომლებიც მოწმობენ მათს იდეურს და შემოქმედებითს ზრდას. გაიმართა რამდენიმე გამოფენა. მათ შორის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ამხანაგ **სტალინის** დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა. ეს გამოფენა არსებითად არის გაგრძელება ნამუშევართა ცნობილი ციკლისა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის თემებზე, რომელთა შექმნა საქართველოს მხატვრებს შთააგონა ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** შესანიშნავმა წიგნმა.

უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ ყველა მხატვარი ვერ დაეუფლა სრულყოფილად ყალმის რთულ ოსტატობას. გამოფენებზე, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით სურათებს, რომლებიც მოწაფეთა ნამუშევრების შთაბეჭდილებას სტოვებენ. ზოგიერთი მხატვარი სუსტად იცნობს ნატურას და ანგარიშს არ უწევს მას.

საჭიროა ხელოვნების საქმეთა სამმართველომ უფრო მაგრად მოჰკიდოს ხელი მხატვრულ განათლებას. სერიოზულად უნდა დავეხმაროთ საქართველოს სამხატვრო აკადემიას და შევუქმნათ მას პირობები მხატვართა ყოველმხრივ განათლებული კადრების აღზრდისათვის, რომლებიც მთლიანად იქნებიან დაუფლებული სახვითი ხელოვნების ტექნიკას.

თავისი წევრების მხატვრულ-კულტურული დონის შემდგომი ამაღლების ამოცანით უნდა ხელმძღვანელობდეს მთელ, თავის მუშაობაში აგრეთვე მხატვართა კავშირი, რომელმაც, უნდა ითქვას, ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ გარდაჰქმნა თავისი მუშაობა ამ მიმართულებით.

o

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ქართული საბჭოთა ლიტერატურა გამდიდრდა ახალი ძვირფასი, მხატვრული ნაწარმოებებით სხვადასხვა თემებზე. ამ ნაწარმოებთაგან იდეური შინაარსითა და მხატვრული ღირსებებით გამოირჩევიან ის წიგნები, რომლებიც მიძღვნილია ხალხთა ბელადის ამხანაგ **სტალინის** ჭაბუკობის წლებისადმი.

მთელმა ქართულმა ლიტერატურამ ფართოდ აღნიშნა ამხანაგ **სტალინის** დაბადების 60 წლისთავი. ამ თარიღისათვის ქართველმა პოეტებმა დასწერეს მიმართვა ლექსად, რომელშიც მათ მხატვრულ სახეებში მოგვცეს ბელადის განთავისუფლებული და ბედნიერი სამშობლოს სურათი, გამოხატეს საქართველოს მშრომელთა მხურვალე მადლობა და სიყვარული ხალხთა ბედნიერების შემოქმედის დიდი **სტალინისადმი. (ტაში).**

ამავე თარიღისათვის გამოიცა კონსტანტინე გამსახურდიას წიგნი „ბელადი", გიორგი ლეონიძის პოემა „ბავშობა და ყრმობა" და კრებული მხატვრული ნაწარმოებებისა ამხანაგ **სტალინის** შესახებ.

შემოქმედებითს აქტივობას იჩენს მოწინავე პოეტი გალაქტიონ ტაბიძე, რომელმაც ქართული პოეზია გაამდიდრა ოსტატურად დაწერილი ლექსებით ბელადზე და მის სამშობლო ქალაქზე.

კარგად დაწერილი პოემის „ენგურის" შემდეგ პოეტმა ალიო მაშაშვილმა გამოუშვა ლირიკული ლექსების კრებული. მაშაშვილის შემოქმედება პოეტური გამოხმაურებაა ჩვენს სინამდვილეზე.

სიმონ ჩიქოვანის ლექსების უკანასკნელი წიგნი მოწმობს პოეტის შემდგომ იდეურ და შემოქმედებითს ზრდას. ჩიქოვანი წარმატებით მუშაობს ბოლშევიზმის ისტორიის ცალკეული ეპიზოდების ასახვაზე.

პოეტი ილო მოსაშვილი აქტიურად ეხმაურება ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურ მოვლენებს. საჭიროა აღინიშნოს მისი კარგი ლექსი „ბელადის სახლი". საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისათვის მოსაშვილი სწერს პოემას მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ გლეხთა აჯანყების შესახებ დუშეთში.

თავის პოემაში „წულუკიძის გარდაცვალება" პოეტი ირაკლი აბაშიძე შეეცადა მოეცა კომუნიზმისათვის მტკიცე მებრძოლის, დიდი სტალინის თანამოსაგრის — ალექსანდრე წულუკიძის სახე.

თავისი რომანის „გვადი ბიგვა" გმირის მაგალითზე მწერალმა ლეო ქიაჩელმა დამაჯერებლად გვიჩვენა გლეხის შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევისა და ახალი ადამიანის ფორმირების პროცესი.

აქტიურად მუშაობდნენ აგრეთვე ქართული პოეზიისა და პროზის სხვა წარმომადგენლებიც: დ. შენგელაია, კ. ლორთქიფანიძე, რ. გვეტაძე, ა. შანშიაშვილი, გ. აბაშიძე და სხვ.

გასული წლის თებერვალში საქართველოს საბჭოთა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა რევოლუციამდელი ქართველი ინტელიგენციის ერთერთი საუკეთესო წარმომადგენლის, მწერლისა და თეატრალური მოღვაწის შ. ნ. დადიანის ლიტერატურული მოღვაწეობის 45 წელი. შ. ნ. დადიანი განაგრძობს ენერგიულ შემოქმედებითს მუშაობას და ჰქმნის ახალ მხატვრულ ნაწარმოებებს საბჭოთა თემატიკაზე.

საჭიროა ითქვას, რომ ჩვენი ლიტერატურისათვის ჯერ კიდევ რჩება საბრძოლო ამოცანად სოციალისტური სამშობლოს თანამედროვე სურათის სრულყოფილად მოცემა. მწერლებმა ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ მოჰკიდეს ხელი თემატიკას მესამე სტალინური ხუთწლედის შესახებ, სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის ეპოქის შესახებ. მთელი რიგი მწერლები ჯერ კიდევ მეტისმეტად გატაცებული არიან შორეული წარსულის სახეებით. ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორია წარმოადგენს უშრეტ წყაროს მხატვრული შემოქმედებისათვის. უდავოა, რომ ისტორიული თემების დამუშავება მწერლების საპატიო ამოცანაა, მაგრამ მტკიცედ უნდა შევითვისოთ, რომ ისტორიული თემები თანამედროვე თემატიკის მხოლოდ დამატებას უნდა წარმოადგენდნენ. საბჭოთა მკითხველს პირველ რიგში უნდა ლიტერატურაში დაინახოს სტალინური ეპოქის ადამიანები, რომლებიც გვიჩვენებენ გმირობისა და სიმამაცის უბადლო ნიმუშებს, კომუნიზმის დიადი, მსოფლიო-ისტორიული საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების ნიმუშებს. ჩვენი ლიტერატურა მოვალეა დააკმაყოფილოს მკითხველის ეს სამართლიანი მოთხოვნა.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის ამაღლებას მოწმობს აგრეთვე მისი პოპულარობის ზრდა საქართველოს ფარგლებს გარეთ. ქართველი მწერლების ნაწარმოებთა თარგმანები ფართოდ გამოდის და იკითხება მოძმე რესპუბლიკებში. ქართულმა ლიტერატურამ, ქართული საბჭოთა კულტურის მშენებლის ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას** მუდმივი მზრუნველობის მეოხებით, განიმტკიცა ადგილი საბჭოთა კავშირის ხალხთა მოწინავე ლიტერატურებს შორის. **(ტაში).**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში შესანიშნავი წარმატებებისათვის საბჭოთა კავშირის ორდენებით დააჯილდოვა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ცამეტი მოწინავე წარმომადგენელი. ეს მაღალი ჯილდო ბევრ რამეს ავალდებს ქართველ საბჭოთა მწერლებს.

საჭიროა განსაკუთრებით აღინიშნოს ჩვენი დრამატურგების არასაკმაო შემოქმედებითი აქტივობა. თეატრები უკანასკნელ ხანებში განიცდიან კარგი პიესების დიდ ნაკლებობას. ეს ხარვეზი უნდა გამოვასწოროთ.

გაიზარდნენ და მკითხველთათვის ცნობილი ხდებიან ახალგაზრდა ავტორები: ლ. ბალიაური, ს. ისიანი, გ. კალანდაძე, ა. საჯაია, მ. მრევლიშვილი და სხვ. მათი ნაწარმოებები მოწმობენ მწერალთა ახალი თაობის შემოქმედებითს ძალასა და ზრდას.

საბჭოთა მწერლების კავშირმა უნდა მოაწყოს ლიტერატურული ახალგაზრდობის სისტემატური სწავლება, დაეხმაროს მათ თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებასა და ლიტერატურული ოსტატობის დაუფლებაში.

მწერლები უნდა დაეუფლონ **მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის** დიად თეორიას, ვინაიდან უამისოდ შეუძლებელია ჩვენი თანადროულობის, საზოგადოებრივი განვითარების კანონების, კომუნიზმის გამარჯვების კანონების გაგების მიღწევა, მაშასადამე, შეუძლებელია სრულფასოვანი მხატვრული ნაწარმოებების შექმნა ჩვენი ეპოქის შესახებ.

o

1938-1939 წლები საქართველოს კინემატოგრაფიისათვის მძიმე და შემოქმედების მხრივ არასავსებით ნაყოფიერი წლები იყო. კინომრეწველობის რეორგანიზაციის დროისათვის, 1938 წელს საქართველოს სახკინმრეწვს წარმოებაში ჰქონდა 7 სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. აქედან კინემატოგრაფიის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტმა წარმოებიდან მოხსნა 6 ფილმი.

ახალი სცენარების უქონლობის შედეგად კინოსტუდია მოულოდნელად იძულებული გახდა გამცდარიყო. 1938 წელს მან გამოუშვა მხოლოდ ერთი ისტორიულ-რევოლუციური სურათი „დიადი განთიადი", ერთი სამეცნიერო-ტექნიკური ფილმი „საბჭოთა ჩაი" და ნარკვევ-ქრონიკალური ფილმები.

1938 წლის გაცდენით გამოწვეული შედეგები კინოსტუდიამ დიდხანს ველარ გამოასწორა. 1939 წელს მან გამოუშვა მხოლოდ ორი ფილმი: „სამშობლო" და „დაგვიანებული სასიძო".

ამჟამად კინოსტუდია მთლიანად დატვირთულია. იგი იღებს და წელს უნდა გამოუშვას ხუთი მხატვრული ფილმი თანამედროვე თემებზე.

რეჟისორი ჭიაურელი უკვე მუშაობს გრანდიოზულ, უაღრესად საპასუხისმგებლო ფილმის „ფიცის" დადგმაზე, რომელშიც მხატვრულად უნდა იქნას ასახული შესრულება საბჭოთა ქვეყნის მიერ იმ დიადი ფიცისა, რომელიც ამხანაგმა **სტალინმა** დასდო **ვ. ი. ლენინის** კუბოსთან.

რეჟისორი შენგელაია სდგამს ფილმს „ნაპერწკლიდან" — ახალგაზრდა **სტალინის** მიერ საქართველოში შექმნილი ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიიდან აღებულ თემაზე.

სწარმოებს აგრეთვე მოსამზადებელი სამუშაოები დიდი ისტორიული ფილმის „გიორგი სააკაძის" დასადგმელად. ფილმი გამოშვებულ უნდა იქნას 1941 წელს.

საქართველოს კინოსტუდიას აქვს ყველა შესაძლებლობა — შემოქმედებითი კადრები, ტექნიკური ბაზა —იმისათვის, რომ საბჭოთა კინემატოგრაფია ახალი კარგი ნაწარმოებებით გაამდიდროს. ეს შესაძლებლობანი მთლიანად უნდა იქნან გამოყენებული.

საბჭოთა ლიტერატურის ახალი წარმატებებისათვის

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მდივნის ამხ. ირ. აბაშიძის სიტყვა წარმოთქმული საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობაზე

თავის საანგარიშო მოხსენებაში საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ **ამხ. კ. ჩარკვიანი** ვრცლად შეეხო საბჭოთა ლიტერატურის საკითხებზე, ამ ლიტერატურის ნაკლსა და მიღწევებზე, მის აწმყოსა და ამოცანებზე.

ამხ. კ. ჩარკვიანის მოხსენება საქართველოს ბოლშევიკების მე-13 ყრილობაზე მრავალფეროვნად გვიხატავს იმ დიდ მიღწევებს და გამარჯვებებს, რომლებსაც ქართველმა ხალხმა მიაღწია თავისი ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის აყვავების საქმეში.

ქართველ საბჭოთა ინტელიგენციას შეუძლია განუცხადოს მიმდინარე ყრილობას, რომ იგი თავისი საქმით მხარ და მხარ მისდევდა ჩვენი ქვეყნის მშენებელთა დიდ არმიას, ჩვენი ქვეყნის საწარმოო და სამეურნეო მუშაკებს. ქართველი საბჭოთა ინტელიგენცია, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ხელმძღვანელობით, ძლევამოსილად აღწევს საბჭოთა კულტურის ფრონტზე ახალ და ახალ გამარჯვებას. საბჭოთა ინტელიგენციის მოწინავე რაზმი — ჩვენი ხელოვნების მუშაკები, ლიტერატურის მუშაკები, განუსაზღვრელად სარგებლობენ ჩვენი პარტიისა და პირადად ამხანაგ **სტალინის** მუდმივი ზრუნვით და ყურადღებით.

საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის როლი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში თანდათან იზრდება. მხატვრული წიგნი, რომელიც გამოხატავს სოციალიზმის ძლევამოსილ გამარჯვებას, ჩვენი ქვეყნის ბედნიერებასა და აყვავებას უსაზღვრო სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობს მშრომელთა ფართო მასებში. საბჭოთა მწერალს მოეპოვება ფართო ასპარეზი, შეუზღუდველი შესაძლებლობა და პირობები, რომ იგი საყვარელი ადამიანი იყოს ჩვენი ქვეყნისა. ქართველი მწერლის წიგნებს, რომლებიც გამოხატავენ საქართველოს აყვავებისა და ბედნიერების სურათებს, კითხულობენ არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ დიდი საბჭოეთის ყველა მხარეში. საბჭოთა მწერალი თავის განუსაზღვრელ სიყვარულსა და თავდადებას **ლენინ-სტალინის** პარტიისა და ძლევამოსილი საბჭოთა ხალხებისადმი ამტკიცებს თავისი მხატვრული სიტყვით, რომელსაც იგი ღაღადებს ლენინ-სტალინის დიადი იდეების შთაგონებით. საბჭოთა მწერალი პირველი მწერალია ისტორიაში, რომელსაც უფლება მიეცა საქვეყნოდ უქადაგოს სიმართლისა და ჭეშმარიტებას. იგი ამას უმადლის ლენინ-სტალინის დიად პარტიას, მშრომელი კაცობრიობის დიდ ბელადებს — **ლენინსა და სტალინს.**

ამიტომ საბჭოთა მწერალი საჭიროების დროს არა მარტო თავისი სიტყვითა და კალმით, არამედ თავისი სიცოცხლით იცავს სოციალიზმის დიდ სამშობლოს, ჰუმანიზმის დიად ქვეყანას. ამისი ბრწყინვალე მაგალითები საბჭოთა მწერლებმა გვიჩვენეს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვარზე, დასავლეთ ბელორუსიასა და დასავლეთ უკრაინაში, თეთრი ფინელების ბანდების წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა მწერალი სოციალიზმის ქვეყნის შვილია და ყველა ის თვისება, რაც ამ ქვეყნის გმირულ ხალხს გააჩნია, ბუნებრივი თვისებაა საბჭოთა მწერლისაც. ჩვენი დიდი სამშობლოს მწერლები, კომუნიზმის ძლევამოსილი იდეებით აღჭურვილნი, დღეს ერთ ოჯახს შეადგენენ, და ქართველი ხალხი ამაყობს იმით, რომ მის მწერლობას ამ დიდ ოჯახში ერთი პირველი ადგილთაგანი უჭირავს.

ჩვენს რიგებში ჩვენ გვყავს ცამეტი ორდენოსანი მწერალი, მათ შორის ორი ორჯერ ორდენოსანია, ერთი დეპუტატი საკავშირო უმაღლესი საბჭოსი, ერთი დეპუტატი საქართველოს უმაღლესი საბჭოსი. ბოლშევიკების ყოვლისშემძლე პარტიამ ჩვენს ქვეყანას შეუქმნა არა მარტო დაუშრეტელი მატერიალური სიმდიდრე, არამედ უდიადესი სულიერი კულტურა, ბრწყინვალე ხელოვნება და ლიტერატურა. ჩვენ მთელი ძალღონით ვიბრძვით იმისთვის, რომ განვამტკიცოთ საბჭოთა ლიტერატურის მიღწევები, ვიბრძვით იმისთვის, რომ საბჭოთა კავშირის მრავალერიან ხალხებს თავიანთ მშობლიურ ენაზე მოეპოვებოდეთ ლიტერატურის შესანიშნავ წარმომადგენელთა მხატვრული ნაწარმოებები. ამ ოჯახის საგანძურში შესული საბჭოთა ხალხების კლასიკოსთა ნაწარმოებები დღეს ათეულ ენაზეა თარგმნილი. რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას სტრიქონები დღეს ათეულ ენაზე ჟღერენ.

თავის მხრივ ქართველმა მწერლებმა ქართულ საბჭოთა ლიტერატურას შემატეს ჩვენი მოძმე ერების ლიტერატურის სახელოვანი შვილების ნაწარმოებთა თარგმანი. ჩვენი მკითხველი დღეს ქართულ ენაზე განიცდის დიდი პუშკინის სტრიქონებს, ქართულ ენაზე კითხულობს გორკის, ტოლსტოის, ლერმონტოვს, ტარას შევჩენკოს, კოსტა ხეთაგუროვს, სომეხი ხალხის გმირული ეპოსის „დავით სასუნცის" ეპოპეას. ამ მოკლე ხანში მას ხელთ ექნება უკვდავი აზერბაიჯანელი ნიზამის, უზბეკეთის გენიალური ნავოის, ყალმუხეთის „ჯანგარას" ქართული თარგმანები.

ამით ქართველი საბჭოთა მწერლები ხელს უწყობენ ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა სტალინურ მეგობრობის განმტკიცების საქმეს.

საბჭოთა მწერლები საქართველოს კომპარტიის (ბ) მე-13 ყრილობას ახალი მიღწევებით ხვდებიან. 1937 წელს თავის წერილში — „ხალხთა ერთიანი ოჯახი" ამხანაგი **ლ. ბერია** სწერდა: „საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა საქართველოს მწერლებმა დასძლიეს და გაანადგურეს რა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ტენდენციები, გადაჭრით მობრუნდნენ აქტუალური საბჭოთა თემატიკისაკენ და უკვე იძლევიან სრულფასოვან მხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებიც სოციალისტური რეალიზმის მეთოდებით ასახავენ დიდი სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, სოციალისტური ინდუსტრიისა და საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებას, მუშათა და კოლმეურნეთა ბედნიერსა და საამურ ცხოვრებას".

ამხანაგ **ლ. ბერიას** მშობლიური მზრუნველობით, მისი ყოველდღიური დახმარებით ქართულმა საბჭოთა მწერლობამ მიაღწია იმ წარმატებებს, რითაც იგი ჩადგა საბჭოეთის ლიტერატურათა მოწინავე რიგებში. ამხ. **ლ. ბერიას** წიგნი „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" იყო ის შთაგონება, რის მეოხებითაც ქართველმა მწერლებმა არა ერთი და ორი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები შექმნეს ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცალკეულ ეპიზოდებზე. დიდი ბელადის დაბადების სამოცი წლის თავზე ქართველმა საბჭოთა მწერლებმა მკითხველს მისცეს ბელადისადმი მიძღვნილი მხატვრული კრებული. ამ კრებულში მონაწილე მწერლებმა მიზნად დაისახეს, მიეცათ მკითხველისთვის არა მხოლოდ ოდები და მიძღვნები ბელადისადმი, არამედ მხატვრულ ფერებში აესახათ ის დიადი ბრძოლები, რომლებსაც აწარმოებდა ამხანაგი **სტალინი** ქვეყნისათვის თავისუფლებისა და ბედნიერების მოსატანად. ამავე თარიღისთვის გამოვიდა კონსტ. გამსახურდიას რომანი „ბელადი" და გიორგი ლეონიძის პოემა „სტალინი", რომლებიც გვიხატავენ ბელადის ყრმობის წლებს. ეხლა საჭიროა ქართველმა მწერლებმა გადასდგან შემდეგი ნაბიჯი. საჭიროა ასევე მხატვრულად იქნას ასახული არა მარტო ბელადის ყრმობის წლები, არამედ ბელადი ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნისათვის ბრძოლაში, ბელადი ახალი ქვეყნის შექმნისათვის ბრძოლაში, ბელადი, საამური და ბედნიერი ცხოვრების შემქმნელი. ქართული ლიტერატურის აყვავების სათავეა **სტალინის** ცხოვრებისა და ბრძოლის დაუშრეტელი თემატიკა. ქართველი მწერლები არას დროს არ დაივიწყებენ ამხანაგ **ლ. ბერიას** მშობლიურ ზრუნვას ჩვენი ლიტერატურის აყვავებისათვის. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მუდმივი და შეუნელებელი ზრუნვა ჩვენს მწერლობაზე თავდებია ჩვენი ლიტერატურის ახალი გამარჯვებისა.

დღეს ჩვენი მწერლები ემზადებიან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავის შესახვედრად. მთელი ჩვენი აქტივი საწერ მაგიდებთან ზის. ქართველი ხალხის ბედნიერი ცხოვრების შესახებ ახალ რომანებს სწერენ მწერლები: ლეო ქიაჩელი, კ. ლორთქიფანიძე, ალ. ქუთათელი, დ. შენგელაია, რ. გვეტაძე, ს. კლდიაშვილი, პ. ჩხიკვაძე, ა. ჭეიშვილი, ბ. ჩხეიძე, ი. ლისაშვილი, ლ. ბალიაური და სხვები. ახალ ლექსებსა და პოემებზე მუშაობენ პოეტები: გ. ტაბიძე, გ. ლეონიძე, ალ. მაშაშვილი, ს. ჩიქოვანი, ი. მოსაშვილი, ი. გრიშაშვილი, ა. აბაშელი, ს. ეული, კ. კალაძე, მარიჯანი, დ. გაჩეჩილაძე, ა. გომიაშვილი, გ. კაჭახიძე, გრ. აბაშიძე, კ. ბობოხიძე და სხვ.

ქართულ საბჭოთა თეატრს ამ თარიღისათვის ექნება ახალი პიესები შალვა დადიანისა, პ. კაკაბაძისა, ს. კლდიაშვილისა, ი. ვაკელისა და სხვ.

მოწინავე მწერლებს არ ჩამორჩებიან ჩვენი ახალგაზრდა კადრებიც. ისინი ახალგაზრდული აღფრთოვანებით ხვდებიან ამ თარიღს.

ჩვენს მიღწევებზე აქ დაწვრილებით არ შევჩერდები. მწერლობა სახალხო საქმეა და ამიტომ ჩვენი მიღწევები ყველასათვის ნათელია. მაგრამ ნათელია აგრეთვე ჩვენი ნაკლიც. ეს ნაკლი კი ჩვენ დღესაც მოგვეპოვება.

ჩვენმა მწერლობამ ჯერ კიდევ ვერ მოგვცა საბჭოთა გმირი-ადამიანი სრულყოფილი სახით. ეს მეტად რთული პრობლემა საბრძოლო ამოცანად რჩება საბჭოთა მწერლის წინაშე.

ამხანაგი **კ. ჩარკვიანი** მიმდინარე ყრილობაზე და არა მარტო ამ ყრილობაზე, არამედ ჯერ კიდევ საქ. კ. პ. (ბ) მე-11 ყრილობაზე, მიუთითებდა ქართველ საბჭოთა მწერლებს, რომ ჩვენი შემოქმედებითი მუშაკები მეტის-მეტად არიან გატაცებულნი ისტორიული თემატიკით. ისტორიის ფასი ვიცით, ისტორიული თემები უნდა დამუშავდეს შემდეგშიაც, მაგრამ არა თანამედროვე თემატიკის საზიანოდ. ჩვენში კი ბევრი მწერალი „დიდ" თემებს მხოლოდ ისტორიის დარგში ეძებს. ამხანაგ კ. ჩარკვიანის ეს მითითება დღესაც ძალაში რჩება. ჩვენი მოწინავე მწერლები კვლავ გატაცებულნი არიან ისტორიული თემატიკით და მათი ეს გატაცება თავის გავლენას ახდენს ჩვენს ახალგაზრდა კადრებზე. ასე, მაგ., ერთმა ჩვენმა ახალგაზრდა პოეტმა დაიწყო ვრცელი პოემის წერა მე-18 საუკუნის ლეკეთის რაზმადინ სარდალზე.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ამ ბოლო ხანებში ჩვენი საბჭოთა პოეზიის პოლიტიკური აქტუალობის ნაწილობრივ შესუსტება, ზედმეტად გატაცება ეროსით, ბუნების სურათების აღწერით და ნაწილობრივ უსაგნო ლირიკით. ამ ნაკლზე პირველ რიგში უნდა მიეთითოს ჩვენს მოწინავე პოეტებს. უნდა მიეთითოს აგრეთვე ჩვენს ახალგაზრდა კადრებს, რომელთა შემოქმედების განვითარებას ეს სენი ნაკლებ არ აფერხებს.

ნაკლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ჩვენი პოეზიის ერთფეროვნებაც, რის შესახებაც სამართლიანად ლაპარაკობდა ამხანაგი **ილია თავაძე** საქართველოს საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობაზე. ჩვენი პოეტების ნაწარმოებები ძალიან ხშირად ერთმანეთს გვანან, არ ისმის მათი ინდივიდუალური ხმა. ჩვენ კი გვინდა მრავალფეროვანი პოეზია. ჩვენ გვინდა საკუთარი, ინდივიდუალური ხმის მქონე შემოქმედნი; სოციალისტური წყობა იძლევა უდიდეს გასაქანს ადამიანის ინდივიდუალობის განვითარებისათვის. ეს არ არის ინდივიდუალიზმი, რომელიც დამახასიათებელია ბურჟუაზიული შემოქმედებისათვის, რაიც უპირისპირდება კოლექტივს, საზოგადოებას. ეს არის ინდივიდუალური სახე კოლექტივის შეგნებული წევრისა, რომელიც საზოგადოებისა და კოლექტივის ინტერესებს თავის პირად ინტერესებზე მაღლა აყენებს. საბჭოთა შემოქმედს თავისი ინდივიდუალური ხმით შეაქვს მრავალფეროვნება დიადი საბჭოთა ხელოვნების მუსიკაში.

ყველა ამ ნაკლის აღმოფხვრისათვის ჩვენი კრიტიკა ჯერჯერობით ნაკლებად ეხმარება ქართულ საბჭოთა მწერლობას. საქ. კ. პ. (ბ) მე-10 ყრილობაზე ამხანაგი **ლ. ბერია** აღნიშნავდა: „კრიტიკა ჯერ კიდევ ვიწრო ადგილს წარმოადგენს ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. ჩვენი კრიტიკოსები სუსტად ამჟღავნებენ ნაკლოვანებებს და შეცდომებს ჩვენი მწერლების ნაწარმოებებში და ყოველთვის ობიექტური როდი არიან. ამის ნაცვლად, რომ კარგად შეისწავლონ ყოველი ცალკეული ნაწარმოები და მისცენ სერიოზული და სამართლიანი კრიტიკა ობიექტური ანალიზის საფუძველზე, ისინი ძალიან ხშირად გამომდინარეობენ ცალკეული მწერლებისადმი პირადი სიმპატიებიდან თუ ანტიპატიებიდან".

ჩვენმა კრიტიკოსებმა დღესაც და შემდეგშიაც უნდა იხელმძღვანელონ ამხანაგ ბერიას ამ სიტყვებით. ჩვენს მაღალ-მხატვრულ ლიტერატურას უნდა ჰქონდეს შესაფერი და სრულფასოვანი კრიტიკა. ჩვენ გვყავნან კრიტიკოსების ნიჭიერი კადრები და მოვითხოვთ მათგან ჩვენი ლიტერატურის ღრმა შეფასებას, საბჭოთა ლიტერატურის ღრმა ანალიზს.

საბჭოთა მწერლობას გააჩნია ყოველგვარი შესაძლებლობა და პირობები, გააჩნია აგრეთვე სათანადო ძალაც და ენერგიაც, მისცეს ჩვენს მკითხველს ჩვენი ბედნიერი ცხოვრების, ჩვენი დიადი ქვეყნის ადამიანთა წარუშლელი სურათები. ქართული საბჭოთა მწერლობა სიტყვას იძლევა, რომ იგი ამას შესძლებს.

გაუმარჯოს ბოლშევიკების დიად პარტიას!

გაუმარჯოს ქართული საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის საყვარელ მეგობარს ამხანაგ **ლ. ბერიას!**

გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**

წინანდალში

გიორგი კაჭახიძე

ბევრის მნახველი ბაღი ქებული
სივრცეს დაჰხარის ვენახებიანს;
მზით და სიცოცხლით აფეთქებული
კვიპარისები ცას ეხებიან.
როგორ მორთულან! თითქოს მელოდნენ,
შრიალებენ და ვარ მოკრძალებით.
ბულბულებივით ერთ დროს მღეროდნენ
აქ ჭავჭავაძის კარგი ქალები.
ბროლის დაჭკნობა როგორ იქნება!
ახლაც მომესმის მათი ხმა ნელი.
ბაღს შერჩენია დამაფიქრებლად
მათი ღიმილი გასახარელი.
ვუმზერ გარემოს, ვით წიგნს გადაშლილს,
ნატვრით ვჩერდები ყოველ ხის ახლო:
კარგი დღეა და მინდა, ამ ბაღში
შენი ღიმილიც რომ დავინახო.
აქ ყვავილობდი და იმედებით
გული დღეებმა ხომ აქ აგივსეს!
შენს ქალობაზე კვლავ მორიდებით
მე ვეკითხები ამ კვიპარისებს.
არაფერი აქვთ თითქოს სათქმელი,
მთებს გასცქერიან მაღალმხრებიანს;
ართობთ იმათი ვერცხლის ნათელი
და წვეროებით ცას ეხებიან.
შენზე სიმღერა გზებზეც არ ისმის,
სხვებზე მიმღერეს ბევრგან გულებმა,
და მიკვირს, ხალხში, როგორც ხალისი,
რატომ არ არის შენზე თქმულება.
დავდივარ, მალხენს სოფლის დანახვა,
ნურც შემეცილოს მასში ნურავინ...
მწყინს, რომ თქმულებად ხალხში არა ხარ,
მაგრამ ვის უთხრა ეგ სამდურავი!

საუბარი ნაძვებთან

იოსებ ნონეშვილი

ამ მთაზე ამოსვლა როგორღა გაბედა,
არა ვარ ასეთი გოგონას მნახველი.
მოსულა თქვენთანაც და შეუბრალებლად
ზედ ამოუჭრია თავისი სახელი.
თქვენ ალბათ ტკივილებს გულშივე იქრობდით,
ზეცას ვერ შესძრავდით ზარით და კივილით,
როდესაც გსერავდათ ნეტავ რას ფიქრობდა,
ნეტავ თუ ესმოდა ეგ თქვენი ტკივილი.
თქვენ ვიცი დასწყევლით, თქვენ ვიცი დასძრახავთ
რა უყოთ შლეგია და გადარეული...
აი, მე პატარა პოეტი გახლავართ
მარადჟამს სუსტი და ფერ გადალეული
და განა დამინდო?!... არაფერს ჩამორჩა,
იხმარა ათასი ხერხი და მახენი,
ამხადა მკერდი და ზედ გულზე ამომჭრა,
ზედ გულზედ ამომჭრა თავისი სახელი.
მაგრამ მე თქვენსავით არ ვკიცხავ ამაზე,
გავა დრო, ბავშვური ვნებებიც გაუვლის.
ისეთი კარგია ,ისეთი ლამაზი,
შეუნდოთ, შეუნდოთ ეს დანაშაული.

ზაფხულის ეტიუდები

მაყვალა მრევლიშვილი

მაქალოს ჩრდილში

ქმარ-შვილში ჩავებით დინჯი ქალებივით,
გრილოში დაგვფანტა შუა-დღის სიფიცხემ,
რაც შენ ჩამოგშორდი, ურჩსა და ნებიერს,
ანცობას ვივიწყებ.
დღეს დილით ალგეთის სათავეს ვეძებდი,
ტენიან ჯაგნარებს წყალ და წყალ ავდიე,
ჩავხედე. კენჭებზე პირიმზის ბეჭედი
ცახცახით ჩაეგდო ლაზურის ბადიებს;
და შენ გამახსენდი, —
რასა იქმ, ნეტავი,
არ ვიცი, მე მხოლოდ მნათობებს შევხარი, —
მალმალე გხედავენ.
ამ სერზე შუადღით ზე ძლიერ ბევრია,
მე და ღონიერ ხეს გვაცხუნებს მარტოკებს;
მოირბენს ზირბითით ნელ-თბილი ნიავი,
კოჟრიან მხარ-ტოტებს ის ეტრფის სიამით,
ფოთლებს მწირ-ტევრიანს მალულად ატოკებს.
გავხედავ სათიბებს: რამდენი ალიაქოთი ვარგუნეთ,
რა ჟბოდიშოდ გვიყვარდა თივების ბულული,
დავკრავდით ფეხსა და, შიგ ქოჩრით ჩარგულებს,
კოხტა მალაყები გაგვქონდა ქურდულად.
აი, სულ ამგვარ პეპელებს ვიჭერდით,
ოქროს მტვრით დაფერილს, ყაყისფერ რგოლიანს.
კალთა დააფარე და სად გაქრა ის ერთი?
აბაზე შემოგრჩა, —
სულ ასე მგონია.
მანდ სადღაც გექნება კვიმ ჯი სიცილიც,
მე რომ სულ დავფანტე და ვეძებ ნამცეცებს.
გნახავ და ისევე კისკასით, ციმციმით
დაირბენს სიცილი წიწვების ნამქერზე.

ჩ ე მ ე უ ლ ი

ბალღის აკვნებს ბანზე დავდგამ,
მზესაც დავანახვებ,
ნანინად ლექსს ამოვართავ,
გულის-კოვზზე ნახვევს.
ვიმღერებ და ორი ბალღი
ამაყოლებს ღიღინს,
ქალობა რომ დამიმშვენა —
ეს დღე ქვეყნად მიღირს.
ორი შვილი მომესწრობა —
წყვილი ბედისკვერი,
ერთს სულ შავი თვალები აქვს,
ერთს კი თაფლისფერი;
ჩემს ღიღინს ხმას აყოლებენ,
სამივ ერთად ვმღერით.
საცა არის სახლში მოვა
ამ ოჯახის მამა,
გაიღიმებს ნაჯაფევი,
მომიწონებს ამაგს,
საცა არი სახლში მოვა
ჩემი გულის სწორი,
იმის მტკიცე ნაბიჯები
უკვე ვიცან შორით.
შინდისფერი დასა ღეთი,
ღელე ვერცხლისფერი, —
გადავცქერი მშვიდ საღამოს,
ბანზე ვზი და ვმღერი.

რა არის ახალი ჟურნალებში

„მნათობი“

დაიბეჭდა და გამოვიდა „მნათობი“ № 7. ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალა: გ. ნატროშვილი—ვაჟა - ფშაველა; **მხატვრული ლიტერატურა:** ა. ქუთათელი — თაგვები (მოთხრობა), შ აფხაიძე — ორი სონეტი (ლექსები), ა. საჯაია — ზღვასთან (ლექსი), გ. ქუჩიშვილი — „ყიზი-კალა“ (პოემა), ვ. უბილავა—მიწა (მოთხრობა), გ. ჯაბუშანური — ორი ლექსი, გ. კაჭახიძე — ალაზანთან (ლექსი), მ. ზონენაშვილი — რივჯა (მოთხრობა), ფრ. შილერი—სიმღერა ზარზე (თარგმანი ხ. ვარდოშვილისა), რამაიანი (ინდიური პოემა. თარგმანი რ. გვეტაძისა); **კრიტიკა და პუბლიცისტიკა:** შ. რადიანი — გალაკტიონ ტაბიძე, მ. დუდუჩავა — მსოფლმხედველობა და შემოქმედების მეთოდი, ა. გაწერელია — ანდრეი ბელი, დ. შამათავა — ნ. ნაკაშიძე.

„უნივერსიტეტის შრომები“

დაიბეჭდა და გამოვიდა „**სტალინის** სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“, ტომი XV. მასში მოთავსებულია შემდეგი სტატიები: ს. ჯანაშია „**ამხანაგ ლავრენტი ბერიას** წიგნი—„ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ და ისტორიული მეცნიერება საქართველოში“, А. Шанидзе—„Новый труд по армянской диалектологии“; Л. М. Меликсет-Бек“ „По поводу нового труда по армянской диалектологии“; **გ.** თოფურია—ქართველურ ენათა სიტყვა—წარმოებიდან; А. Введенский — Подлог и фальсификация исторических документов в Грузии в первой половине XIX в.“; М. Полиевктов—„Ревизия Закавказского края сенаторами Кутайсовым и Мечниковым и фонд дел этой ревизии в историческом архиве в Ленинграде“; С. Беридзе „О марксистской теории денег“; ი. მიქელაძე — საქართველოს სათბობის ბალანსის ანალიზისათვის; სამეცნიერო ქრონიკა.

ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია

საქართველოს სსრ სახელმწიფო კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკამ გამოსცა „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, ნაკვ. I (1852-1877). ამ ნაკვეთში შედის შემდეგი ჟურნალები და კრებულები: „გუთნის დედა“ — ჟურნ. „ცისკრის“ დამატება, „თარგმანნი საამო საკითხავთა თხზულებათა“, „კრებული“, „მნათობი“, „სასოფლო გაზეთი“, „საქართველოს მოამბე“, „საქართველოს სასულიერო მახარობელი“, „ჩონგური“ და „ცისკარი“.

ბიბლიოგრაფია შეიცავს შემდეგ განყოფილებებს: 1) ფილოსოფია. ეთიკა, 2) ისტორია, რელიგია, 3) ენათმეცნიერება, 4) ეთნოგრაფია, ქალთა საკითხი, 5) გეოგრაფია, დემოგრაფია, სოციოლოგრაფია, 6) ეკონომიკა, 7) პუბლიცისტიკა, შინაური მიმოხილვები, 8) ეროვნული საკითხი, მიგრაცია, 9) სამართალი, 10) ადმინისტრაცია, ადგილობრივი მმართველობა, 11) სამხედრო საქმე, 12) განათლება, 13) ხელოვნება, 14) ლიტერატურათმცოდნეობა. მხატვრული ლიტერატურა, 15) ბიბლიოგრაფია, 16) ბუნების მეტყველება, 17) ტექნიკა, 18) სოფლის მეურნეობა. ბეითლობა. შინამეურნეობა. 19) მედიცინა, 20) ნარევი; გარდა ამისა, წიგნს დართული აქვს რამდენიმე საძიებელი.

„ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ შედგენაზე მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის კაბინეტის კოლექტივი — თ. მაჭავარიანის ხელმძღვანელობით.

წიგნის რედაქტორია გ. აბზიანიძე. მასვე ეკუთვნის წინასიტყვაობა. წიგნი შეიცავს X+280 გვერდს და ღირს 15 მან.

„საქართველოს მუზეუმის მოამბე“

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა გამოსცა „მოამბე“, ტომი X B ეს გამოცემა მიეძღვნა აკადემიკოს ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის 40 წლისთავს, რომელიც შესრულდა გასულ წელს.

ქართული ხელოვნების ისტორიიდან „მოამბეში“ მოთავსებულია პროფ. გ. ჩუბინაშვილის სტატია „ბედიის ოქროს ბარძიმი“.

საქართველოს ისტორიიდან აღსანიშნავია პროფ. ნ. ბერძენიშვილისა „ერთი უძველესი საბაჟოს ადგილმდებარეობისათვის საქართველოში“, დოც. ლ. მუსხელიშვილისა „თორელთა გენეალოგიის ცდა ჰამამლუს მე-12 ნაწერებთან დაკავშირებით“, ის. ლორთქიფანიძისა, „მოსკოვის და პეტერბურგის „უწყებათა“ 1762—1767 წლების ცნობები ქართველებისა და საქართველოს შესახებ“, კ. გრიგოლიასი „იმერული სიგელების შედგენილობის საკითხებისათვის XVI—XVIII საუკუნეებში“, პ. უშაკოვისა „საქართველოს უძველესი ხალხები და უკანასკნელი წლების აღმოჩენები არქეოლოგიის დარგში“, პროფ. ს. ყაუხჩიშვილისა „რიტორიკული განათლების ცენტრი ძველს კოლხეთში“, დოც. თ ლომოურისა „მე-13 საუკუნის ქართული ფულის საკითხის გამო“, დ. კაპანაძისა „XVI საუკუნის ქართული ფულის გორის განძი“ და სხვა.

ლიტერატურის ისტორიის დარგიდან მოთავსებულია წერილები პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგისა „გიორგი გორელი — უცნობი ქართველი და სომეხი მწერალი მე-18 საუკუნის პირველი ნახევრისა“, პროფ. ალ. ბარამიძისა „ერთი ფურცელი მე-18 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, დოც. გ. ჯაკობიასი „ონანა მდივნისათვის“, დოც. ს. იორდანიშვილისა „ვეფხის-ტყაოსნის“ ეგრეთწოდებული უძველესი ხელნაწერის შესახებ“.

ენათმეცნიერების დარგიდან საყურადღებოა დოც. ი. აბულაძისა „ქართული გრამატიკული ლიტერატურის ადრინდელი ძეგლები“; სტ. მენთეშაშვილისა „ჰაემტობა ინგლისურში“, პროფ. ვ. თოფურიასი „ბრუნების სისტემისათვის ლაკურ ენაში“ და სხვ.

წიგნი შეიცავს 340 გვერდს და ღირს 20 მანეთი.

ერეკლე მეორის წინამორბედნი

(დასასრული)

სასახლეა, რომელიც თეიმურაზ მეორემ ასწერა ერთს თავის ლექსში („ქება სრისა“). მას შუა ეზოში კოლონადა და მარმარილოს აუზიანი შადრევნები უნდა ჰქონოდა, მისი ფანჯრები ფერადი მინებისაგან უნდა ყოფილიყო შეხამებული, ხოლო სასტუმრო დარბაზების კედლები დაფარული ყოფილიყო სარკეებით, ისე რომ, როცა ბროლის ხომლზე კელაპტრები აინთებოდა, სტუმრებს ეგონებოდათ გარს ცეცხლი გვეკიდებაო.

ამ ბრწყინვალე ლხინს, დავით გურამიშვილის მოწმობით, დარბაზის ერის ბჭობა მოჰყვა, როგორც ამას საქართველოს ფეოდალური მონარქიის დაუწერელი კონსტიტუცია მოითხოვდა ასეთი მნიშვნელოვანი შემთხვევისათვის. მეფის დარბაზის კრება ორად გაიყო: რუსული ორიენტაციის დარბაისლებმა მოიწონეს ქრისტიანი ხელმწიფის ხელდებულად ე. ი. ვასალად გახდომა, სამაგიეროდ მოწინააღმდეგე მხარემ შიში გამოსთქვა, ვაი თუ მტრებმა შეგვიტყონ და ჩვენ წინააღმდეგ წამოდგნენო: — ვინემ რუსნი გვიშველიან, მანამ ჩვენი გარდაგვხდებისო. ვახტანგ მეფემ არ დაიჯერა თავისი ფრთხილი მრჩევლების წინადადება. ჯერჯერობით ნუ გამოააშკარავებ, რომ რუსეთის მხარეზე ხარ, თუ პეტრესთან შეხვედრა აუცილებლად მიგაჩნია, ფარულად შეხვდი მცირე ამალითო. პეტრე იმპერატორმა მართლაც დაიჭირა ტარკი, დარუბანდი, ბაქო (1722 წ.) და მთელი კასპიის ზღვის სანაპიროს დაპყრობას ლამობდა, რათა იქიდან გზა გაეკაფა ინდოეთისაკენ. ვახტანგ მეექვსე დიდი ქართველი ჯარით შირვანში გადავიდა, რათა თავის მოკავშირეს შეხვედროდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ რუსეთის მეფის ჯარი მომზადებული არ იყო ასეთი რთული ოპერაციისათვის და ის ჩქარა უკან გაბრუნდა. ამის შემდეგ ვახტანგ მეფის მდგომარეობა გამძვინვარებული თურქეთის სულთანის და ერანის შაჰის წინააღმდეგ აუტანელი გახდა. შაჰმა ქართლის სამეფო კახეთის მეფეს კონსტანტინეს მისცა. მაგრამ კონსტანტინემ თბილისის დაჭერა ვერ შესძლო, სანამ თავისი ყველაზე საშიშარი მტრების — ლეკების დაქირავებული ჯარი არ მიიშველია და მას თბილისის გაძარცვის ნება არ მისცა. ახალციხის მხრიდან ქართლში თურქების ჯარი შემოიჭრა. ამის შემდეგ ყოველ მხრივ სასოწარკვეთილი ვახტანგი თითქმის მთელი იმდროინდელი მოწინავე თავადაზნაურობის ოჯახებითა და რამდენიმე სასულიერო პირითურთ რუსეთში გადასახლდა. კონსტანტინემ თურქებს წინააღმდეგობა ვერ გაუწია და თბილისის ციხის გასაღები მათ უომრად ჩააბარა. ამის შემდეგ ლეკთა თარეშმა კახეთში სრულიად არაჩვეულებრივი გაქანება მიიღო. შეუძლებელი გახდა ცხოვრება ციხე-სიმაგრეების გარეშე. ქიზიყსა და შიგნით კახეთში მოლები გაჩნდნენ და ხალხის ძალით გამაჰმადიანება დაიწყეს. კონსტანტინე მეფეს ვერ უშველა შეგუების პოლიტიკის წარმოებამ ოსმალეთის მიმართ. ის ქართლის მმართველად დადგენილმა ფაშამ სადარბაზოდ მიიტყუა და ცხენზე შეჯდომის დროს ხანჯლით მოაკვლევინა.

ქართლ-კახეთს თავისი ისტორიის მანძილზე იშვიათად დასდგომია უფრო ბედშავი დღეები. ქვეყნის ტრაგიკული მდგომარეობა კარგად გამოჰხატა დავით გურამიშვილმა, რომელიც სწორედ ამ ხანებში. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, ქსნის ხეობაში ყოფნის დროს დატყვევებულ იქნა ლეკების მიერ:

> რაც მოგახსენე, მოგვგვარა ჩვენ
> ერთმანეთის ბრძოლამა!
> ქართლი ოსმალომ დაიპყრო, კახეთი
> ლეკთა მოლამა;
> მით ჩვენმა სისხლმან ნაღვარმა
> ჭევნები სულ ამოლამა,
> და სუნით მოიცვა მთაბარი ჩვენის
> მკვდრის მძორთა ყროლამა!

ა ხ ა ლ ი   წ ი გ ნ ე ბ ი

„ბელადი“

სახლიტგამმა გამოსცა კონსტანტინე გამსახურდიას ტრილოგიის პირველი წიგნი „ბელადი“.

წიგნი შეიცავს 218 გვერდს და ღირს 15 მანეთად.

კ. ლორთქიფანიძე „ქუჩა“

სახლიტგამმა გამოსცა კ. ლორთქიფანიძის საბავშვო პოემა „ქუჩა“.

წიგნი დასურათებულია მხატვარ დ. გაბაშვილის მიერ და ღირს 3 მან. 50 კაპ.

ფრიდრიხ შილერი—“ლექსები“

„ფედერაციამ“ გამოსცა ფრ. შილერის რჩეული ლექსები, თარგმნილი გერმანულიდან ხ. ვარდოშვილის მიერ. თარგმნილია სულ 28 ლექსი და ბალადა.

წიგნს წამძღვარებული აქვს გ. ნადირაძის წინასიტყვაობა, შეიცავს 206 გვერდს და ღირს 14 მან. და 80 კაპ.

გიორგი ქუჩიშვილი „რჩეული ლექსები“

„ზარია ვოსტოკას“ გამომცემლობამ გამოსცა გ. ქუჩიშვილის „რჩეული ლექსები“. კრებულში მოთავსებულია პოეტის სხვადასხვა პერიოდის ლექსები. ლექსები თარგმნილია რ. ივნევის, ა. ყანჩელის, და გ. კრეიტანის და სხვების მიერ.

წიგნს წამძღვარებული აქვს შალვა რადიანის წერილი გიორგი ქუჩიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

წიგნი შეიცავს 138 გვერდს და ღირს 5 მან. 75 კაპ.

„დარიალი“

გამომცემლობა „ფედერაციამ“ გამოსცა ალექსანდრე გომიაშვილის ლექსების წიგნი „დარიალი“. წიგნში მოთავსებულია პოეტის რჩეული ლექსები და ბალადები. წიგნი გაყოფილია ოთხ განყოფილებად: „ქაჯეთის ციხის აღება“, „ბალადები“, „ნანგრევთა შორის“ და „სამშობლოსადმი“. წიგნი გამოცემულია ლამაზად, შეიცავს 140 გვერდს და ღირს 9 მან. და 50 კაპ.

„საბავშვო პიესები“

სახლიტგამმა გამოსცა საბავშვო პიესების კრებული. მასში მოთავსებულია: „ბეკეკა“ ნ. ნაკაშიძისა, „გულადი კურდღელი“ მარიჯანისა, „სამი გოჭი“, გადმოკეთებული მარიჯანის მიერ, „ივანანა“, გადმოკეთებული ლ. ისაკოვის მიერ, „პუშკინი“ რ. ქორქიასი, „გოგია ხრისელი“, გადმოკ. ნ. ჩაჩავას მიერ.

წიგნი შეიცავს 138 გვერდს და ღირს 6 მან.

ვ. მაიაკოვსკი—„რა არის კარგი, რა არის ცუდი“

სახლიტგამმა გამოსცა ვ. მაიაკოვსკის საბავშვო პოემა — „რა არის კარგი, რა არის ცუდი“, თარგმნილი ი. აბაშიძის მიერ.

წიგნი დასურათებულია და ღირს 65 კაპ..

„ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი“

სახლიტგამმა გამოსცა ე. რასპეს „ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი“, გუსტავ დორეს სურათებით.

წიგნის ფასი 4 მან.

„წერილები ჩემი წისქვილიდან“

„ფედერაციამ“ გამოსცა ალფონს დოდეს „წერილები ჩემი წისქვილიდან“ — თარგმანი ფრანგულიდან გ. ქიქოძისა.

კრებული შეიცავს 164 გვერდს და ღირს 9 მან.

„ლიტერატურული და რევოლუციური წრეები გორში“

დაიბეჭდა და უახლოეს ხანში სახლიტგამი გამოსცემს იაკობ ბალახაშვილის დოკუმენტალურ ნარკვევს „ლიტერატურული და რევოლუციური წრეები გორში“ (19 საუკუნის 70-80-იანი და 90-იანი წლები).

ა. შენგელია—„ლექსები“

„ფედერაციამ“ გამოსცა ა. შენგელიას „ლექსები“. წიგნი შეიცავს 74 გვერდს და ღირს 5 მან. და 50 კაპ.

გ. კაჭახიძე—„ალუბლები ყვავიან“

სახლიტგამმა გამოსცა გ. კაჭახიძის საბავშვო ლექსები „ალუბლები ყვავიან“.

წიგნი დასურათებულია, შეიცავს 90 გვერდს და ღირს 7 მან.

„საბავშვო კალენდარი“

სახლიტგამი ამზადებს გამოსაცემად „საბავშვო კალენდარს“ 1941 წლისათვის. ეს იქნება პირველი ცდა ქართულ ენაზე საბავშვო კალენდარის გამოცემისა.

საბავშვო კალენდარი მზად იქნება 15 დეკემბრისათვის.

„ლიტერატურული წერილები“

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობამ გამოსცა ალ. სულავას ლიტერატურული წერილების წიგნი. წიგნში შეტანილია უახლოეს ხანში დაწერილი სხვადასხვა ხასიათის ათიოდე წერილი. წიგნში მოთავსებულია: „ახალგაზრდა სტალინი—პუბლიცისტი“, „ა. წულუკიძის ლიტერატურული შეხედულებანი“, „აკაკი წერეთელი და ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა“; „აკაკი წერეთელი და ტარას შევჩენკო“, „საბჭოთა პატრიოტიზმი და ქართული პოეზია“, „ალიო მაშაშვილი“, „იოსებ გრიშაშვილი“, „მზისა და მიწის სიხარულის პოეტი“, „ილო მოსაშვილი“ და „ირაკლი აბაშიძე“.

წიგნი შეიცავს 208 გვერდს და ღირს 6 მან და 50 კაპ.

ალიო ადამია—„ლექსები“

„ფედერაციამ“ გამოსცა ა. ადამიას „ლექსები“. წიგნი შეიცავს 96 გვერდს და ღირს 6 მან. 60 კაპ.

როდისაა დაწერილი შავთელის ქებანი?

აბდულ მესიანის სახელით ცნობილი ოდები ძველი ქართული პოეზიის შესანიშნავი ძეგლია. ეს ოდები რუსულად სთარგმნა კ. ლიპსკეროვმა. მთარგმნელისათვის უდიდესი მნიშვნელობა ერთ საკითხს აქვს. როდის დაიწერა ოდები — თამარ მეფის თუ დავით აღმაშენებლის დროს, ე. ი. აქებს შავთელი მეფე ქალს — თამარს თუ მარტო მამაკაცს—დავით აღმაშენებელს? რუსულად თარგმნისათვის ამის გარკვევა აუცილებელია, რადგან საქები ობიექტის სქესი უსათუოდ უნდა იცოდეს მთარგმნელმა.

ტრადიციულად განმტკიცებული იყო შეხედულება, რომ აბდულმესიანის სახელით ცნობილი ოდები დაწერილია თამარ მეფის დროს, იოანე შავთელის მიერ თამარ მეფისა და დავით სოსლანის საქებრად. ამ შეხედულების წინააღმდეგ გამოვიდა აკად. ნ. მარი. მისი აზრით, ოდები დაწერილია დავით აღმაშენებლის დროს სხვა შავთელის მიერ, მხოლოდ დავით აღმაშენებლის საქებრად. ამ შეხედულების დასასაბუთებლად მან წამოაყენა მთელი რიგი მოსაზრებები ოდების ენობრივი მასალისა და ტექსტის ჩვენების საფუძველზე. ბევრი რამ ნ. მარის მსჯელობაში დამაფიქრებელია, მაგრამ სავსებით დამაჯერებელი არ არის. მოვიყვანოთ ნ. მარის ეს მოსაზრება.

„შავთელთან მე-12 საუკუნის დასაწყისში გვხვდება საკუთარი სახელები სამღვთო წერილიდან, სქოლასტიკური თხზულებებიდან და სპარსული პოემებიდან. თამარის მგოსანი (იგულისხმება ჩახრუხაძე — შ. ა.) მე-12 საუკუნის დასასრულში ამ სახელებს უმატებს კიდევ ილიადას გმირების სახელებს რომლებითაც იგი სარგებლობს საკმაოდ ხშირად თავის შედარებებში. ამგვარი შედარებები ცოცხალი პირებისა ილიადას გმირებთან არა სპეციალურ სქოლასტიკურ ნაშრომში, არამედ პოეტურ ნაწარმოებებში, რომელნიც განკუთვნილნი იყვნენ მკითხველთა ფართო წრეებისათვის, ამტკიცებს, რომ თამარის ეპოქაში ილიადას კარგად იცნობდნენ განათლებული ქართველები ამა თუ იმ ქართული ვერსიით. მაგრამ ნუთუ არ შეიძლება დავასკვნათ, რომ ილიადას ამ ვერსიის ქართულ ენაზე გამოჩენა უნდა მივაკუთვნოთ დავით აღმაშენებლის მეფობის უკანასკნელ წლებს ან მისი სიკვდილის შემდეგ დროსაც კი? მაშ სხვანაირად როგორ ავხსნათ ასეთი დაჟინებული გულგრილობა მისი მგოსნის შავთელისა იმ მდიდარ მასალასთან, რომლის წარმოდგენა შეეძლო მისთვის ილიადას პოეტურ შედარებებისათვის? (იხ. ნ. მარი, ძველი საქართველოს მეხოტბენი. 1902 წ. გვ. 3).

ილიადას გმირების არხსენება შავთელის ოდებში მნიშვნელოვანი ფაქტია, მაგრამ არ გამოდგება არც შავთელის ოდების, არც ილიადას ქართული ვერსიის წარმოშობის დასათარიღებლად. ილიადას გმირები არა ნაკლებ იყვნენ ცნობილნი დავით აღმაშენებლის დროს; ამას ამტკიცებს მაგალითად ამ დროის ისტორიკოსის თხზულება. „დავით აღმაშენებლის მემატიანე“ — წერს აკდ. ივ. ჯავახიშვილი, — „ან ერის კაცია, ან არა და, — თუ სამღვდელო პირია, — განათლებითა და აზროვნებით სრულიად გაერისკაცებული მწერალი ყოფილა, რომელიც თავისუფლად კითხულობდა და სარგებლობდა საერო ძველი ბერძნული წარმართული მწერლობითაც კი“. (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართ. საისტ. მწერლობა. 1916 წ. გვ. 155)

თვით აკდ. ნ. მარისაც ადრევე აღნიშნული ჰქონდა, რომ საქართველოში იცნობდნენ ჰომეროსს, მის ილიადას საერო მწერლობის წარმოშობამდეც, რადგან სწავლა-განათლება ჩვენში ბერძნული ნიმუშის მიხედვით იყო დაყენებული, ხოლო ბიზანტიაში ილიადას ასწავლიდნენ შემოკლებული გადაკეთებული სახით.

თუ ეს ასეა, თუ ილიადას დიდიხანია იცნობდნენ საქართველოში თუნდაც გადაკეთებული სახით, მაშინ რანაირად წარმოვიდგინოთ საქართველოში საერო მწერლობის წარმოშობა და განვითარება ისე, რომ ილიადას უყურადღებოდ სტოვებენ, ივიწყებენ და მხოლოდ ირანულ მწერლობას ეტანებიან. პირიქით, დავითის ისტორიკოსის მაგალითი გვიჩვენებს, რომ დავით აღმაშენებლის დროს ძველ ბერძნულ წარმართულ მწერლობას უფრო იცნობდნენ, ყოველ შემთხვევაში მით უფრო სარგებლობდნენ, ვიდრე მაჰმადიანური აღმოსავლური მწერლობის მასალებით. თუ დავითის მემატიანეს შევადარებთ თამარ მეფის მემატიანეებს, ვნახავთ, რომ ესენი იცნობენ ბერძნულ მწერლობასაც, მაგრამ ირანული ეპოსის მასალებით უხვად სარგებლობდნენ. შეიძლება მეტიც ითქვას. სწორედ თამარის დროს ირანული ეპოსი. ჩრდილავს ჰომეროსს, მის ილიადას. თამარის თანამედროვე ფრიად განათლებული ისტორიკოსი, „ისტორიანნი და აზმანი შარავანდედთანი“-ს დამწერი, როდესაც თამარს აქებს, შესადარებლად იშველიებს მრავალ ლიტერატურულ სახეს. (თორმეტიოდე წყვილს). ამისათვის იგი სარგებლობს სამღვთო წერილით, ბიბლიით და ირანული ეპოსით და არც ერთი სიტყვით არ ახსენებს ილიადას სახეებს, ესე იგი ის იქცევა ისევე. როგორც შავთელი თავის ოდებში, უდაოა, რომ თამარის ეს მემატიანე იცნობდა ჰომეროსს და თუ იგი მაინც სდუმს ჰომეროსის მიმართ, რა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მისი თანამედროვე შავთელიც ასე არ უნდა იქცეოდეს თავის ოდებში?!

შავთელი და მემატიანე სდუმან არა მარტო ილიადას მიმართ, არამედ სხვა საუკეთესო ძველი ქართული ორიგინალური შემოქმედების, მაგალითად „ეთერიანის“ მიმართაც.

ამ დადუმებას სხვა აზრი აქვს. ეს არ აიხსნება უცოდინარობით. ამის მიზეზი თამარ მეფის დროინდელ სოციალურ კლასობრივ ინტერესთა წინააღმდეგობაშია და იმ სოციალურ-პოლიტიკურ გარდატეხაში, რაც მოხდა ყუთლუ არსლანის შეთქმულების დამარცხების შედეგად.

ლიტერატურულ მიმდინარეობათა მრავალფეროვნება ძველ საქართველოში გამომხატველი იყო სოციალურ კლასობრივ დაჯგუფებათა ინტერესების მრავალფეროვნებისა. ირანული ეპოსი თავისი აბსოლუტური მონარქიული იდეოლოგიით ყველაზე უკეთ შეეფერებოდა გაბატონებული საერო მონარქიული ხელისუფლების ინტერესებს. ამიტომ მოიპოვა ირანულმა ეპოსმა საქართველოში გავრცელებისა და გაბატონების უფლება. რაც შეეხება ილიადას, მას აღორძინების ეპოქაში საზოგადოდ ორმაგი მნიშვნელობა ჰქონდა: ერთის მხრივ თავისი ბედისწერის გარდუვალობის იდეით, იგი მონარქიული ხელისუფლების განმტკიცებას ემსახურებოდა ფეოდალთა თავგასულობის წინააღმდეგ, მაგრამ მეორე მხრივ იგი ადამიანური სამართლიანობისათვის ბრძოლის იდეასაც იძლეოდა და ძლიერი იარაღი იყო ჰუმანიზმის განვითარებისათვის საზოგადოების დაბალ ფენებში მონარქიის თვითნებობის წინააღმდეგ. ილიადაში გმირი აქილესი, როგორც ვიცით, მეფე აღამემნონის უსამართლობას ებრძვის და შურს იძიებს თავისი ადამიანური უფლების შეურაცყოფისათვის.

ფირდოუსის შაჰ-ნამეში ასეთი რამ წარმოუდგენელია. გმირი არასოდეს არ შეეცილება მეფეს. გმირი როსტომი თუმცა გულმოსულია მეფის ქექაოზის ბრიყვული საქციელის გამო, მაგრამ მის მეფურ ავტორიტეტს მაინც იცავს და მის წამხდარ საქმეებს თავის გმირობით ასწორებს. ასეთი იდეის გავრცელება ხალხში ქართველ მონარქებისათვის უეჭველად მიმზიდავი და აუცილებლად საჭირო იყო მაშინ, როცა საზოგადოების ფართო წრეებში ძლიერდებოდა მოძრაობა მონარქიის წინააღმდეგ რესპუბლიკური მართველობის სასარგებლოდ. ამ დროს ილიადა და უფრო მეტად კი ეთერიანი, როგორც ჩანს, საზოგადოების დაბალ წრეებს მაღალი ჰუმანიზმის იდეებით ასაზრდოვებდა და აქეზებდა ხელისუფლების თვითნებობის წინააღმდეგ. აქედან გასაგებია ჩახრუხაძისა და შავთელის განსხვავება. თამარის მეფობის პირველ ხანებში ჩახრუხაძეს ჰქონდა მეტი გასაქანი ქართული ლიტერატურის საგანძურის გამოყენებისათვის. ამ დროს ხელისუფლება ანგარიშს უწევდა საზოგადოების ფართე წრეების კულტურულ-პოლიტიკურ განვითარების მაღალ დონეს. ილიადას, ეთერიანს და მისთანებს გასაქანი ჰქონდა. მაგრამ შემდეგ, როგორც ჩანს, ხდება გარდატეხა. შეთქმულების დამარცხების შემდეგ რეაქცია ძლიერდება. შიშველი ძალმომრეობა ბატონდება. ძველი ბერძნული და ქართული პროგრესიული ორიგინალური შემოქმედების ძეგლები უგულებელი ხდება, იდევნება და შესაძლოა, ნადგურდება კიდეც. ილიადა იჩრდილება და გასაქანი ეძლევა ირანული ეპოსის იმ ძეგლებს, რომელნიც მონარქიული აბსოლუტიზმის თავგასულობის ავტორიტეტს იცავდა. ამ პირობებში გასაგები ხდება, თუ რატომ აღარ ახსენებენ ილიადას გმირებს შავთელი და მემატიანე, რატომ აკეთებენ ნახტომს ქრისტიანულ სამღვთო წერილის სახეებიდან სპარსული ეპოსის სახეებზე, ხოლო ყოველივე დანარჩენს კი უკუაგდებენ. გასაგებია თუ რატომ ხდება ასეთი ცალმხრივი გადაძლევა ირანული ეპოსის ორიენტაციის სასარგებლოდ, რატომ ხდება მისი ძეგლების შედარებით უკეთესი დაცვა შთამომავლობისათვის. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია: სწორედ ის, რომ ქებაში უგულებელყოფილია ილიადა. ეთერიანი და მისთანობა და მოჭარბებულია ირანული ეპოსის გმირთა ხსენება, გვაფიქრებინებს, რომ ქებანი არ შეიძლებოდა დაწერილიყო დავით აღმაშენებლის დროს, იგი უთუოდ დაწერილია თამარის მეფობის მეორე ნახევარში. მაშასადამე ამ ოდებში შექებულია პირველ ყოვლისა თამარ მეფე. ამიტომ არ არის საჭირო ტექსტის გადასწორება ნ. მარის მიხედვით. იქ, სადაც ქებაში ნახსენებია თამარი, უნდა დარჩეს ისევ ისე. რუსულ თარგმანშიც ეს გარემოება უნდა იქნეს გათვალისწინებული. ამის შემდეგ აღარ აქვს მნიშვნელობა ისეთ მოსაზრებებს, როგორიცაა ქრისტეს ხსენება და საერთოდ საეკლესიო ხასიათის ლექსიკის ხმარება შავთელის ქებაში და ბევრ სხვა ასეთებს, რის გამო ოდები ტყუილად გადაქონდათ დავით აღმაშენებლის ხანაში.

შ. ადეიშვილი

ეროვნული

ფილოსოფიის ექვსტომიანი ისტორია

„ლიტერატურნაია გაზეტა“ თავის უკანასკნელ ნომერში იუწყება, რომ მოსკოვში „სოცეკგიზის“ გამომცემლობამ უკვე დაიწყო ბეჭდვა ფილოსოფიის ექვსტომიანი ისტორიისა. აღნიშნულ გამოცემაში გაშუქებული იქნება მსოფლიო ფილოსოფიის ვრცელი პერიოდი, დაწყებული ძველი ინდური ატომისტური მოძღვრებით და მილეტის ნატურალისტური სკოლით (მეხუთე საუკუნის საბერძნეთში, ჩვენს ერამდე) და დამთავრებული იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის ფილოსოფიური სკოლებით. ეს გამოცემა სამაგიდო წიგნი იქნება საბჭოთა ინტელიგენციისათვის.

ეს ექვსტომიანი ისტორია არის ფილოსოფიის მარქსისტული ისტორიის მოცემის პირველი ცდა მსოფლიოში. ამ გამოცემის მეცნიერული მნიშვნელობა მით უფრო დიდია, რომ მასში მარტო ევროპის ფილოსოფიური სისტემების განვითარება არ არის ასახული, — მასში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი მთელ რიგ არა ევროპელი ხალხების (ინდოელები, ჩინელები, არაბები, ებრაელები) ფილოსოფიურ მოძღვრებებს. ფილოსოფიის ბურჟუაზიული ისტორია ჩვეულებისამებრ უგულებელჰყოფდა და ამცირებდა მატერიალისტი და ათეისტი ფილოსოფოსების მოძღვრებას. მარქსისტული ფილოსოფიის ისტორიის ამოცანაა — წარმოგვიდგინოს ანტიური საბერძნეთის, აღორძინების ეპოქის და ახალი დროის უდიდესი მატერიალისტი მოაზროვნეების (დემოკრიტი, ეპიკური, ფრანგი მატერიალისტები და ენციკლოპედისტები — ჰოლბახი, ჰელვეციუსი და სხვ.) ნამდვილი სახეები.

პირველად ფილოსოფიურ ლიტერატურაში რუსულ ენაზე მოცემული იქნება ფილოსოფიის ისტორიული განვითარების დახასიათება ამერიკისა და სკანდინავიის ქვეყნებში. ხსენებული ისტორიის რედაქციისა და ავტორების მთავარი იდეაა — გვიჩვენონ ფილოსოფიური აზრის ისტორიული განვითარება, როგორც იდეოლოგიური ფორმა კლასობრივი ბრძოლისა ადამიანთა საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, როგორც ისტორიული პროცესი ორი ბანაკის — მატერიალიზმის და იდეალიზმის ბრძოლისა. დიდი ყურადღება ექნება დათმობილი დიალექტიკური აზროვნების განვითარების გაშუქებას ფილოსოფიის ისტორიის მთელ მანძილზე.

პირველი ტომი უკვე ხელმოწერილია დასაბეჭდად და გამოვა მიმდინარე წლის ოქტომბერში. მასში განხილულია ანტიკური ეპოქის და ევროპის ფეოდალური საზოგადოების ფილოსოფიური მოძღვრებანი. პირველი ტომის ცენტრალური თემებია: ბერძნული ანტიკური ფილოსოფიის სტიქიური დიალექტიკა; მატერიალიზმის (დემოკრიტი) ბრძოლა იდეალიზმთან (პლატონი) ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში; არისტოტელის მოძღვრება; რომაული ფილოსოფია; ქრისტიანული ფილოსოფია — რომის იმპერიის დაცემიდან აღორძინების ეპოქამდე. საშუალო საუკუნეების ფილოსოფიის დახასიათების დროს განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ავეროესის ერეტიკულ მოძღვრებას, ნომინალისტებს და რეალისტებს.

მეორე ტომი გამოვა 1941 წლის დასაწყისში. მასში განხილული იქნება პერიოდი მე-15 საუკუნიდან მე-18 საუკუნემდე — ეპოქა ბურჟუაზიული ფილოსოფიური იდეების წარმოშობისა და განვითარებისა ფეოდალური საზოგადოების ჩარჩოებში.

მესამე ტომი მიეძღვნება მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრის ევროპულ ფილოსოფიას (მარქსამდე). ამ ტომში მთავარი ადგილი დათმობილი ექნება გერმანულ კლასიკურ ფილოსოფიას.

ისტორიის მეოთხე ტომი, რომელზედაც მუშაობა უკვე დაწყებულია, განიხილავს მარქსისა და ენგელსის ფილოსოფიურ შეხედულებათა ჩამოყალიბებას და დახასიათებს მარქსიზმის წარმოშობას და განვითარებას.

გამოცემის მეხუთე ტომში მოთხრობილი იქნება საბჭოთა კავშირის ხალხთა ფილოსოფიის ისტორია. ამ ტომში, გარდა რუსული ფილოსოფიის ისტორიისა, დაწყებული მართლმადიდებელი სქოლასტიკოსებისაგან, ფართოდ განხილული იქნება ფილოსოფიური იდეათა განვითარება საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში და უკრაინაში. რუსი მკითხველი პირველად ამ წიგნში გაეცნობა მე-VII - XIII საუკუნეების ძველ ქართველ და სომეხ მოაზროვნეებს. მეხუთე ტომის დასასრულს მოცემული იქნება ნარკვევი რუსეთში მარქსიზმის განვითარების შესახებ.

მეექვსე ტომი მიეძღვნება იმპერიალიზმის და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის ფილოსოფიას (მე-19 საუკუნის დასასრულიდან ჩვენს დღეებამდე). მეექვსე ტომის მეორე ნაწილში ნაჩვენები იქნება მარქსისტული ფილოსოფიის შემდგომი განვითარება **ლენინისა და სტალინის** მიერ.

ფილოსოფიის ისტორიაზე სამუშაოდ მიწვეული არიან გამოჩენილი საბჭოთა სპეციალისტები: აკადემიკოსი მ. მიტინი, მეცნიერებათა აკადემიის წევრი - კორესპონდენტი პ. იუდინი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორები — გ. ალექსანდროვი, ვ. ასმუსი, ბ. ბიხოვსკი, ფ. გოროხოვი, ა. მაქსიმოვი და სხვ.

მთელი გამოცემა გამოდის გ. ალექსანდროვის საერთო რედაქციით.

ახალი მასალები კოსტა ხეთაგუროვის ბიოგრაფიისათვის

გასული წლის ნოემბერში საბჭოთა ქვეყნის მშრომელებმა ღირსეულად აღნიშნეს დიდი ოსი პოეტის კოსტა ხეთაგუროვის დაბადების 80 წლისთავი. ამ თარიღისათვის პოეტის ნაწერები ითარგმნა და გამოიცა საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე. ქართულ ენაზე კოსტა ხეთაგუროვის ნაწერები ორ გამოცემად გამოქვეყნდა; „ფედერაციამ“ გამოსცა ქართულად თარგმნილი რჩეული ლექსები ხეთაგუროვისა, ხოლო სამხრეთ-ოსეთის სახელგამმა კ. ხეთაგუროვის თხზულებათა სრული კრებული როგორც ოსურ, ისე ქართულ ენაზე.

ეს გაკეთდა შარშან, ხოლო წელს ივლისში ჩვენ მოწმე გავხდით კოსტა ხეთაგუროვის ძეგლის სადღესასწაულო გახსნისა სტალინირში.

გასულსა და მიმდინარე წელს ლიტერატურის მკვლევარები განაგრძობდნენ კ. ხეთაგუროვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლას, ოსური ლიტერატურის ისტორიისათვის ჯერ უცნობი ახალი მასალის შეკრებას. ამ მხრივ მეტად საინტერესოა უკრაინელი მწერლის ა. ნედძვიდსკის ნარკვევი, რომელიც უკრაინულ გაზეთ „ლიტერატურნა გაზეტას“ ა/წ. 26 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა და რომელიც შეეხება კოსტა ხეთაგუროვის ცხოვრებას ქ. ხერსონში 1899-1900 წლებში.

ცნობილია, რომ მეფის სატრაპების წინააღმდეგ ბრძოლისათვის კოსტა ხეთაგუროვი 1898 წელს ხერსონში იქნა გადასახლებული, სადაც კორექტორად შევიდა გაზეთ „იუგ“-ში, აქ პოეტს მეტად მძიმე პირობებში მოუხდა მუშაობა: 35 მანეთს იღებდა თვიურად და ყოველდღიურად 6 გვერდიან გაზეთის კორექტურას ასწორებდა.

ა. ნედძვიდსკის ხერსონის ქალაქის ბიბლიოთეკაში დაცულ „იუგის“ ძველ ნომრებში მოუძებნია ცნობები, რომლებიც შეეხება კოსტა ხეთაგუროვის მუშაობას ხერსონში. გაზეთში 1898 წლის 29 მაისის თარიღით აღნიშნულია კოსტა ხეთაგუროვის ჩამოსვლა ქალაქში. საერთოდ ასეთი ცნობები იბეჭდებოდა ქალაქის სასტუმროების მიერ მიწოდებულ მასალების საფუძველზე.

შემდეგ გაზეთის ერთერთ ნომერში დაბეჭდილია კ. ხეთაგუროვის წერილი რედაქციის მიმართ: აქ პოეტი ენერგიულ პროტესტს უცხადებს გაზეთს „ოდესკი ლისტოკს“ იმის გამო, რომ ეს გაზეთი ტენდენციურად აშუქებდა დრეიფუსის პროცესს. იმავე „იუგის“ 1900 წლის ერთერთ ნომერში დაბეჭდილია ცნობა, სადაც მოხსენებულია კ. ხეთაგუროვი. ამ ხანებში ქ. ხერსონში გაუმართავთ საქველმოქმედო საღამო ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ. საღამოში მონაწილეობა მიუღია კ. ხეთაგუროვს, რისთვისაც მას მადლობას უცხადებენ საღამოს ორგანიზატორები.

როგორც ცნობილია, 900-იან წლებში ბურები გმირულად იბრძოდნენ თავიანთი დამოუკიდებლობისათვის ინგლისელი იმპერიალისტების წინააღმდეგ. ინგლის-ბურთა ომის გამო ხერსონშივე დასწერა კ. ხეთაგუროვმა ლექსი, რომელიც სულ ოთხი სტრიქონისაგან შესდგება და 1899 წლის 3 დეკემბრით არის დათარიღებული. აი ეს ლექსიც:

> Пусть бритта жадного удава
> Бур искрошит за свой Трансваль. —
> Непобедимым бурам слава!
> Ура! — а бритта нам не жаль.

დაჩაგრული ხალხის შვილი, პოეტი — რევოლუციონერი ბურებს უცხადებს თანაგრძნობას.

არის ცნობები იმის შესახებ, რომ კ. ხეთაგუროვი ხერსონის გაზეთ „იუგ“-ში მას შემდეგაც ღებულობდა მონაწილეობას, როდესაც მან გაზეთში კორექტორობას თავი დაანება. პოეტი გაზეთში ათავსებდა შენიშვნებს, წერილებს. უკრაინელი მკვლევარის აზრით, განსაკუთრებით საყურადღებოა „იუგ“-ის 1899 წლის 14 სექტემბრის ნომერში (№ 439) მოთავსებული მოწინავე წერილი, რომლის სტილი და შინაარსი მოწმობს რომ წერილი კ. ხეთაგუროვს ეკუთვნის. წერილი დაწერილია იმავე ინგლის-ბურთა ომის თემაზე და გამსჭვალულია ბურებისადმი ღრმა სიმპატიით. ამ წერილში, სხვათა შორის, ვკითხულობთ: „ტრანსვაალისათვის მიმდინარე ომს სამღვთო მნიშვნელობა აქვს, როგორც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, ცხადია, მოზღვავებული პატრიოტიზმის გრძნობა აიძულებს ბურებს თავი მოუყარონ დროშის ქვეშ ყველას, ვისაც ცოტაოდნად მაინც შესწევს ძალა იარაღი ატაროს. მებრძოლთა გმირობაშიაც ეჭვი არ უნდა შეგვეპაროდეს ომის ნაციონალური ხასიათის გამო, ძლიერი დიდბრიტანეთისათვის არც ისე ადვილი იქნება მომავალი ბრძოლა“.

ეს ახალი მასალა ნათელს ჰფენს პოეტის ცხოვრების ერთერთ მნიშვნელოვან მომენტს, უკრაინის ერთერთ ქალაქში პოეტის გადასახლების პერიოდს. როგორც ვხედავთ, მძიმე პირობებშიც ახერხებდა პოეტი-რევოლუციონერი შეუდრეკელ ბრძოლას თავისი იდეებისათვის, დაჩაგრულთა დაცვას იმპერიალისტ-მტაცებლებისა და ყოველგვარი მჩაგვრელებისაგან.

იასამანი.

სარედაქციო კოლეგია:
ი. აბაშიძე, შ. დადიანი, ს. ეული, გ. ლეონიძე, გ. ნატროშვილი, შ. რადიანი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვ. წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახლი) ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 1571